სახალხო გაზეთი

№ 1027 შაბათი, 26 ოქტომბერი 1913 წ. № 1027

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სდამოს ½ სათამდე ღირს 3 მ. ½ საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „პრომეთე"-ში, მოხრანის ქუჩა, და ღირება ½ მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კვკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავიპრო სახლის ლ. დ. მ. მეტელ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბრეტის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; თაუბეჭდავი მცირე ტერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ისინი ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი. პირადად მოპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესი გამოცვლა 50 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 3 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქს გარედ ღირს **2 მ. 25 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ბაზ. „მშაკის" რედაქცია გამოუთქმელი მწუხარებით იუწყება რედაქტორ-გამომცემლის

ალექსანდრე ჰაირაპეტის ძის

ქალანთარის

უეცრად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 20 ოქტომბერის ნაშუადღევის 12½ საათზე. პანაშვიდი დანიშნულია ღ. ღეს, 26 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე. ქუჩა № 5. დაკრძალვა კვირას, 27 ოქტომბერს, ხოჯივანქის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, გრიბოედოვის ქუჩა, № 5. დილის 10 საათზე.

1548

ბარბარე შენგელიასი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 27 ოქტომბერს, პიტრე-პავლეს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მისი განსვენებული მეუღლის

მათე გრიგოლის ძის შენგელიასს

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე. 750

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 14—7.

კვირას, 27 ოქტომბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ **ნინო ჩხეიძის** ასულის მონაწილეობით გაიმართება

საბავშვო წარმოდგენა.

წარმოდგენილ იქნება **პირველად ტფილისას ქართულ სცენაზე**

პრინცი მელორე,

პიესა 4 მოქ. ანდერსენის ზღაპრიდან გადმოკეთებული, თარგმანი მ. ქორელისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძისა, ასათიანისა, თოიძისა, მდივნისა, პიერეტა, საღარაძე, შოთაძისა, ჩხეიძისა და ჯავახიშვილის ასულნი. ბ-ნნი: არადელი-იშხნელი, გომელური, იმედაშვილი, სარაული, ურუშაძე, ქორელი, მელიკაშვილი, ხონელი.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „მედეა", „ნაგავი" და სხ.

დასაწყ. სწორედ ღილის 12 ს. ✦ ადგილების ფასი დაკლებულია.

რეჟისორი **მ ქორელი.** ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგადო.

ქალაქ ტფილისის სამაბრო-სამრეწველო დაწესებულებებში

მოსამსახურეთა კლუბი,

გოლოვინის პროსპ. 8, სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა, შესვლა დავიდოვის ქუჩიდან.

ღღეს, 26 ოქტომბერს, 1913 წ.

✦ **გაიხსნება კლუბის ზამთრის სეზონი** ✦

I

ლეკცია,

ი. ფ. პალმოვი წაიკითხავს:

„საზოგადო დასასათებელი მე-19 საუკუნის რუსეთის ლიტერატურისა და რუსეთის ცხოვრებისა 1854 წელს".

II

დივერტისმენტი

დეკლამაცია, სიმღერა, მუსიკა.

III

საამხანაგო ვახშამი,

ქაცის თავზე თითო მანეთი და ხუთი შაური, ხოლო უსასმელოდ. ვახშამზე ჩაწერა შეიძლება კლუბის გამგეობის წევრებთან და საზამთრო შენობაში კლუბის მეკარესთან. 750

ქართული თეატრი

კვირას, 27 ოქტომ., ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობის თაოსნობით გაიმართება

ილიას საღამო.

I

სალიტერატურო სამუსიკო განყოფილება.

მონაწილეობენ: გ. ნათაძე, ნ.კ. ერისთავი, ნ. დავითაშვილის ასული, ვ. შალიკაშვილი და ი. გრიშაშვილი.

II

„კაცია-ადამიანი",

სასცენოდ გადმოკეთებული ვალ. გუნიას მიერ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: დავითაშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: არადელი-იშხნელი, გუნია და სხვა.

III

საკონცერტო განყოფილება.

მონაწილეობენ: „ახალ კლუბის" გაძლიერებული ორკესტრი ბ. პრესმანის ლოტბარობით, ქ-ნი კოლოტოვისა, დიდმელაშვილი ტ სხვანი. 1533

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 26 ოქტომბერს, ქართულ სახ. წარმდგ. მმართ. წრის მიერ, მსახიობის **მარიამ მდივნის** ასულის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება პიესა

ღღენი ჩვენი ცხოვრებისა,

4 მოქ. ლ. ანდრეევისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: ანკარა ბარველი, გოგოლაშვილი, მ. მდივნის ასული, კახელი, ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნ: აოკაკუნი, ანაშვილი, ალაბმია, ნ. გოცირიძე, მინდიაშვილი, მეტრეველი, ნინიძე, ს. რომანიშვილი, სალაყაია, თუხარელი, ყაკაბიძე, ტაურელი, ჭუმბურელი, ნ. ჭანკვეტაძე, კ. ხახანაშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი 5—50 კ. ✦ **დასაწყ. ხალ. 8 ს**

1586 რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშ. **ჭანკვეტაძე.** „წრის" ადმინისტ.

ავლაბრის სახალხო თეატრი

კვირას, 27 ოქტომბერს, ავლაბრის ქართულ სახალხო წარმ. მმართ. წრის მ. კრ. ლიტერატორის **მ. წულუკიძის,** ახალგაზდა მგზნებრის **გ ქუჩიშვილი**ა და **ვ. მწუხრიშვილის** და მსახიობ **ი. ყივიძის** მონაწილეობით გაიმართება

ფრიად საყურადღებოდ სალამო:

ილია ჭავჭავაძის

დაგვადეგის დღის აღსანიშნავად.

I) ლექტორი **მ. წულუკიძე** წაიკითხავს ლექციას **ილია ჭავჭავაძეზე.**

II) წარმოდგენილი იქნება **გატონი და ყმა,** დრ. ჯ. მ. ილიას მოთხრობიდან გადმოკეთებული შ. დადიანის მიერ.

III) **აპოთეოზი.**

მონაწილეობას მიიღებენ: **ქუთაისელებში გამოწყობილი ქართველ ხოვლერლთა ტუნდი ბ ნ ვ. მათიურელის** ლოტბარობით, მგზნები **გ ქუჩიშვილი** და **ვ. მწუხრიშვილი.** ქ-ნნ: მარგველაშვილი ა. ზოლული, სალაკაია, ჯურულია; ბ-ნნ: თ. ვ. გრიძე, მაჩხანელი, ნინოშვილი, მაისურაძე, ყივიძე, სულთანიშვილი, სალაყაია, ბიზ. ყელი, ქვარიანიძე და სხვა.

1545 რეჟისორი **ი. ივანიძე.** მორიგი გამგე **რ ჯიბლაძე**

ქუთაისის ქალაქის თეატრი

კვირას, 27 ოქტომბერს, ქართველთა შორის, წერა-კითხ. გამავრცელ. საზოგადოების ქუთ. განყოფილების თაოსნობით გაიმართება ჩვეულებრივი

ილიას საღამო.

წარმოდგენილი იქნება ილია ჭავჭავაძის

კაცია-ადამიანი

ქ-ნნი ელ. ჩერქეზიშვილისა და ეკატერინა ასულისა, ბ-ნნი ყალაბეგაშვილისა და ცერცვაძის მონაწილეობით.

გარდა ამისა საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: **კიტა აბაშიძე,** კლასიკური მუსიკის ხელოვნებაში გამავრცელებელ **ალიკა ქურხული,** ცნობილი ვიოლონჩელისტი **კოპელნ ცკი,** ქ-ნი ეკატერინეს კომპოზიციებით და ქუთაისის მოქალაქეთა გუნდი. სცენის ფონზე ნაჩვენები იქნება **ილიას ძეგლი** ნათაწერებიდან **ცოცხალ სურათად.** დაწვრილებით პროგრამებში.

ადგილების ფასი **საბენეფისოა.** 1550

ქ-ნი პორტუგალოვისა

აცხადებს, რომ

საფსიგრიკო მაღაზიაში, რომელიც ნიკოლოზის ხიდთან № 23—24 არის,

ზამთრის სეზონის ეოასლოვანებისა გამო დანიშნულია

დიდი ვაჭრობა

მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.

30 პროც. დაიკლდება ფაბრიკის ფასს.

ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ **მაღაზიას ყოველ კვირა მოსდის ახალ-ახალი საქონელი რომელიც ძვირად არ იყიდება.**

1491 პატივისცემით **ქ-ნი პორტუგალოვისა.**

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან, ნ. კუნდურაოვის ადგილზე

ღღეს, 26 ოქტომბერს, 19 3 წ. გაიმართება

დიდი წარმოდგენა

მე-6 ღღე გამოჩენილ ფალავანთა ფრანგულ **ჭიდაობისა.** ეს ჭიდაობა მოწყობილია პეტერბურგის „ვეტნიკ სპორტის" რედაქციისაგან და მოხდება თვით რედაქტორის ნ. ი **პეტროვის** ხელმძღვანელობით.

ღღეს ჭიდაობენ: **შტერნი და პუგაჩოვი, კოტა მაისურაძე** და **ტიგანე, ლუკა კოპიეი** და **ჩეშბერს ციხი, ზალევსკი** და **ფონ-ფრეანდორფერი.**

დასაწყ. სალამ 8 საათზე.

746 ჭიდაობა 9-ნახევარ ს. დირიჟორი **ძმ. ესიკოვსკებისა.**

ტფილისის ქალაქის სამკურნალო

ქსენიეგის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სახტუმრის აბლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**ვანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **ფალალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედორაკვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ, და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-ფელიქ-შანანაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**ფარკეშვილი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **ფელიციშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოკვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ფირბიცკი-ფირადოკვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თოიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **ფელიციშვილი ნ. ვ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაბაკაძე-ფიდაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედორაკვი ზ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ბელვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოკვი ზ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათანასიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორბელიანი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიო და სანაბეტეოიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 50 კ. საზო. ვ. 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძი-ძაფა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. ფ. 1466

ახალ კლუბთან

არსდება ქალთა და ვაჟთა მოთამაშეთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერონენ კლუბის დირექტორ ს. ი. ჯიმშიანთან.

ყოველ ღღე ღღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

უკანასკნელი ახალი ამბავი!

ნამდვილი ამერიკული ფესსაცმელი

ცრიამ

ამცნებს ბატონ ძმ. ალფონგეებისა.

სასახლის ქუჩა.

1553

აგენტმა ივანე გრიგოლის ძემ

ზალათიანმა

ავადმყოფების შემდეგ **განაახლა** განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოკიმებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მიხეილის პრ. № 119, სახლი ფორიერისა. ტელეფონი 697. 1493

მოითხოვეთ ყველგან

ეროველკვირეული ჟურნალი

წლიურად 3 მან. **ფასი 5 კაპ.**

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ ღღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

გ. მეჭრაგიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფური **ტუბერკულინური** წამლობა. ხელოვნური **პნევმოთორაქსი. რენტგენის ელვანებური სხივებით ფილტვებისა და გულის გასინჯვა.**

ყოველ ღღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 საათ. საწყლებს უფასოდ.

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ნაცნობთა და მის ნახვის მსურველთა

საყურადღებოდ

მაკმაჯ-ასან-ოღლი

ამით **აცხადებს,** რომ ამ თვის 23-ს იგი საქმეებისა გამო

გაემგზავრა ხორასანში,

სადაც 40 ღღეს დარჩება. 48

ექიმი ნ ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ექიმი ჯ. ლ. ციკალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ ღღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი **ივ. ზომართელი** ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლგას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

ექიმი

ოდ ტ ო რ ი

ი. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა ტ შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა ღღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე. ოლღის ქ., № 22, ტელეფონი № 12 -25. 751

საბურთალოზე

მშვენიერ ადგილას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვადა,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. ფ. 122

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ ღღე მოსიარულე ავადმყოფებთვის.

ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. ვაშაკიძე. ყოველ ღღე, შინაგან-ავადმყ. 4½ ს. 10 ს.

ბ. ნ. დიასამიძე. ყოვ. ღღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. ბოლოვი. ყოვ. ღღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სხვულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოთხელიანანცა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. ვ. ფელიციშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. ალექსიშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი: აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რეაქციისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგეობით.

წამლება „606"-ით 1462

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** ‡ **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ი. ზ. ბძელიშვილი სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., 5—7 საათ. საღამოს 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრანკვაის გასაჩერებელთან, მისიონერთან ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე **გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი გ. ვ. ღოლოგორიძე ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 1—3 საათამდე. საბებიო და ქალის ავადმყოფობანი. სლეპკოვის შესახვევი № 3. 1524

ექიმი შ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ხუთშაბათი, 27 ოქტომბერი

შინაური უთანხმოება. იმ იდეიურმა უთანხმოებამ, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ წრეებში არსებობს, საპარლამენტო ფრაქციამდისაც მიაღწია და ლაბის არის განხეთქილება გამოიწვიოს. მეუმრავლესე (ბოლშევიკები) დეპუტატები უსაყვედურებენ მეუმცირესეებს (მენშევიკები), ჩვენი მოქმედება შეაფერხეთ, ჩვენი გამოსვლა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე შეხლეთ და საბიუჯეტო კომისიაში ოთი ადგილიდან არც ერთი არ დაგვითმეთო. მეუმრავლესეთ შეუსაბამოდ მიაჩნიათ ასეთი საეჭველი, რადგანაც, მათის აზრით, მეუმრავლესე დეპუტატები არჩეულნი არიან გასაკუთრებით მუშათაგან და, მაშასადამე, უკეთესად გამოხატავენ მუშათა ინტერესებს და მათს სულგულებს. ჩვენ ამ შინაურ ფრაქციულ უთანხმოებას ყურადღებას არ მივაქცევდით, მეუმრავლესეთა არგუმენტაციაში რომ არა ყოფილიყო ერთი ადგილი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ქართველებისავისაც. იგი ეხება ჩვენში გამწვავებულ ეროვნულ საკითხს და ცხადჰყოფს სოციალ-დემოკრატების ნაწილის სულის კვეთებას. მეუმრავლესენი სხვათა შორის იმასაც უსაყვედურებენ მეუმცირესეთ, რომ ეს უკანასკნელნი ნაციონალისტურ გზას დაადგნენ და ნაციონალურ-კულტურული ავტონომია აღიარეს, რაც მეუმრავლესეთა აზრით „შეგნებული მუშების უმრავლესობის სურვილებს არ შეეფერება“.

როგორც ვიცით, ეროვნული საკითხის გამო დიდი პოლემიკაა გამართული ჩვენს პრესაში. ბ-ნი ნარიძის ფელეტონებში განმარტებულია ახალი პროექტი, მაქსიმუმი იმისა, რაც კი პროლეტარების პარტიამ შეიძლება გაიმეტოს დაჩაგრულ ეროვნებათათვის. ტერიტორიარული პრინციპი, რა თქმა უნდა, უარყოფილია. ამისთანა „ნაციონალისტურ“ პრინციპს, აბა, როგორ გააპაჰანებენ იქ, სადაც ყოველივე სურვილი ეროვნული თავის დაცვისა ნაციონალიზმად ინათლება და მთლიანი ცენტრალისტური პრინციპი ინტერნაციონალურ სამოთხის საუკეთესო გარანტიად მიაჩნიათ! მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი მცირედი და ყოველად უვნებელი რამ, რაც არის ეროვნულ-კულტურული ავტონომია, ანუ, მდებიურად, უფლება მაგალითად, საკუთარი სკოლების გაძართვისა, დიდს წინააღმდეგობას იწვევს სოციალ-დემოკრატიულ წრეებში და „მეუმრავლესეთა“ დეპუტატები დანაშაულობად უთვლიან მეუმცირესეთ.

თუ ეროვნულ-კულტურული ავტონომიაც ნაციონალური ლოზუნგია და ყელში ეჩხირება რუს სოციალ-დემოკრატებს, ადვილი წარმოსადგენია, რანაირი უნდა იყოს მათი ნამდვილი სულის კვეთება. მათის წარმოდგენით, არც ერთმა ეროვნებამ განსაკუთრებული რომ პოლიტიკური გარანტია არ უნდა მოითხოვოს. ერთსა და განუყოფელ ბიუროკრატიას უნდა დაუპირისპირდეს ერთი და განუყოფელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია. ჭეშმარიტად, სწორედ ბიუროკრატიულ რუსეთში შეიძლებოდა აღზრდილიყო ასეთი უკიდურესი ცენტრალისტური აზროვნება, რომელსაც ყაზარმული მთლიანობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა უფრო მეტს ღირებულებად მიაჩნია, ვიდრე თავისუფალი განვითარება თვითოეული ერისა და მტკიცე პოლიტიკური გარანტია მათთვის. ყაზარმული ფსიხოლოგია რუსი სოციალ-დემოკრატებისა პროდუქტია რუსეთის სინამდვილისა და ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ მათ შორის ჩნდებიან ისეთები, რომელთაც დამონებულ ერთა პრეტენზიები ციებცხელებაში აგდებს. გადაფხეკეთ ცოტა ასეთი სოციალ-დემოკრატი და თქვენს თვალწინ წარსდგება ნაციონალისტური, მხოლოდ განსაკუთრებულ, რუსული ნაციონალისტური სულის კვეთებით გაჟღენთილი ადამიანი. მაგრამ რითი სჯობიან რუსული სოციალ-დემოკრატიული ნაციონალიზმი ქართულს ან პოლონურ ნაციონალიზმს, ეს ალბათ იმ სოციალ-დემოკრატების საიდუმლოებას შეადგენს, რომელთაც დაჩაგრულ ერთა ეროვნულ-კულტურული ავტონომიაც კი დიდს ცოდვად და დანაშაულობად მიაჩნიათ.

ქართული პრესა

გაზეთი „მერცხალი“ მაშინაც კი დაგვიწყებს კამათს, ჩვენ რომ ვსთქვათ თოვლი თეთრიაო. რახან „სახალხო გაზეთი“ სწერს, თოვლი თეთრია, უსათუოდ შავი იქნებაო. სწორედ ასეთს კომიკურ შთაბეჭდილებასა სტოვებს „მერცხალის“ გამოკამათება. „მერცხალს“ მოჰყავს ბ-ნ არ. ჯ—შვილის წერილიდან ის ადგილი, სადაც ამბობს, რომ ხიზნობის გაუქმება, წინააღმდეგ ბ-ნ ან—ფარის მტკიცებისა, თავად-აზნაურობას არ გააბოგანოვებსო, და შემდეგს დასძენს:

„გამოდის კითხვა იმაშია,—ხიზნობის მოსპობა რას უქადის თავად-აზნაურობას. თუ მას გაპროლეტარება მოელის, არ ჯ—შვილი ან—ფარს დაეთანხმება. თუ ამ ნიადაგზე დავდგებით, ბ. ან—ფარი უთუოდ მართალი გამოვა. ვინ არ იცის, რომ თავად-აზნაურობის კეთილდღეობა მძლავრად შეირყა და დღესაც მრავალია მათ შორის ბოგანო, ხიზნების მოსპობა ამ პროცესს კიდევ უფრო დააჩქარებს.

ტყუილად ლამობენ „სახალხოელნი“ გლეხთა ინტერესების ქომაგობასო.

ხიზნობა უნდა მოისპოს და კიდევაც მოისპობა, თუნდაც ამით თავად-აზნაურობას სრული განადგურება ელოდეს.

ბ-ნნო „სახალხოელნო“, როდის მოელდება ბოლო ორ სკამზე ჯდომას?“

„მერცხლის“ ლოდიკას რომ მივყვეთ, შეიძლება ასეთი მსჯელობა გავაბათ: დასელები ამბობენ, რომ თუ მუშამ რვა საათის საძუშავო დღე მიიღო, ამით კაპიტალისტები არ გაპროლეტარდებიან; მაშასადამე, ეს რომ ასე იყოს დასელები წინააღმდეგნი იქნებიან რვა საათის სამუშაო დღისა. მუშათა პარტიის აზრით მუშათა დაზღვევა უბედურ შემთხვევებისაგან სრულიადაც არა ნიშნავს კაპიტალისტების გაბოგანოვებას. ეჰ! რახან ამას ამბობენ, მაშ ნამდვილად კაპიტალისტების მომხრენი არიან. ამნაირად შეგვეძლო გაგვეგრძელებინა და ათი-ათასი ნიმუში მოგვეყვანა, მაგრამ განა ამისთანა საბუთებით რამეს გააწყობ „მერცხლისთანა“ ორგანოებთან? ბ-ნი ან-ფარი ამტკიცებდა ხიზნობის ინსტიტუტის გაუქმება თავად აზნაურობას გააბოგანოვებსო, ბ-ნი არ. ჯ—შვილი კი წინააღმდეგ აზრს გამოსთქვამდა. ორ სკამზე ჯდომას აქ მხოლოდ ის დაინახავს, რომელსაც სულ მთლად არევია დავთრები და სწერს მხოლოდ იმიტომ, რომ როგორმე მოწინააღმდეგე „უპასუხოდ“ არ დარჩეს. რა დღეს მოვესწარით!..

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ კავკასიის სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის სამმართველომ საგანგებო მოხსენება შეადგინა, რომლითაც საჭიროდ აღიარა **ჯვარ დაუწერავ მშობლების შვილთა მოვლა-პატრონობა.** მეფის მოადგილის საბჭომ მოხსენება მოიწონა და დაამტკიცა. ამის გამო ტფილისის გუბერნიაში მომავალ წლის იანვრიდან პირველად შეუდგებიან ამ საქმის განხორციელებას. ასით ბავშვებს მიიღებენ ტფ. ოლგას საბებიო ინსტიტუტში,

◆ **პოლიტეხნიკუმი.** ამ დღეებში საუწყებათაშორისო კომისიას კრება ექმნება. განიხილავს მცირე კომისიის საფინანსო მოხსენებას პოლიტეხნიკუმისთვის აღთქმულ მიწების შესახებ.

◆ **რეფერატი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, საზოგადო კლუბში (აბასაბადის ბოულევარი, 7), მ. ა. წულაიძე რეფერატს წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა“ რეფერატის შემდეგ საუბარი გაიმართება.

◆ **ბაღი მოსწავლეთათვის.** მშობელთა წრეების ცენტრალურ საბჭოში აღიძრა საკითხი: გააშენონ ტფილისში დიდი ბაღი ტფ. ყველა საშუალო სასწავლებლის მოსწავლეთათვის.

◆ **წესიერი დასვენების** სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის გუბერნატორმა ხუთ-ხუთი თუმნით დააჯარიმა მედუქნეები; გუკასოვი და ოჰანეზოვი. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, ათ-ათის ღღით დაპატიმრეენ.

◆ **ლექცია.** გუბერნატორმა ნება დართო მასწავლებელ ქალთა საზოგადოების გამგეობას, 1 ნოემბერს სამუსიკო სასწავლებელში ლექცია გამართოს თავის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

◆ **სცენის მოღვაწეთა ახალი წრე.** პ. გ. ხეთამაშვილმა, ბ. მიკირტუმიანცმა, გ. ა. ლელაშვილმა, ა. ი. ჯაფარიძემ, ა. გ. ხეჩუაშვილმა, ნ. ი. კაპანაძემ და ზ. ჩიტაშვილმა გუბერნატორს სთხოვეს, ნება დართოს მათ დააარსონ საბურთალოზე სცენი მოღვაწეთა წრე, რომელის წესდებაც უკვე წარუდგინეს. წრეს აზრად აქვს, მართოს მუდმივი და შემთხვევითი წარმოდგენები საბურთალოზე ქართულსა, სომხურსა და რუსულ ენაზე.

◆ **სასმელ წყლის ძებნაში.** დღეისთვის ქალაქის სმგანგებო კომისიის კრებაა დანიშნული სასმელ წყლის საკითხის გამო.

◆ **ცეცხლისაგან ქონების დამზღვევ სქალაქო საზოგადოების** მოქმედების გაფართოვება საბოლოოდ გადაწყვეტილია, ქალაქის გამგეობა საბჭოს მომავალ კრებას წინადადებას მისცემს: აირჩიოს დროებითი კომისია საზოგადოების საქმეთა შესასწავლად და შესაფერ ღონისძიებათა შესამუშავებლად მის მოქმედების გასაფართოვებლად.

◆ **ავტომობილთა მოძრაობა.** ქალაქის გამგეობამ დაამზადა სავალდებულო დადგენილებათა პროექტი ავტომობილთა მიმოსვლისა და გადასახადების დადების შესახებ და მომავალ ორშაბათს ქალაქის საბჭოს წადუდგენს დასამტკიცებლად.

◆ **ოლგას საბებიო ინსიტუტი** ამ მოკლე ხანში ახალ შენობაში უნდა გადასულიყო, მაგრამ ეს მოუხერხებელი გახდა, რადგანაც ახალ შენობის სახურავის რკინის ფიცრები გამოცდის დროს ჩაიზნიქა და ამიტომ საშიშოდ იქმნა აღიარებული.

◆ **განსვენებულ მოღვაწის ალექსანდრე აირაპეტის ძის ქალაქთარის დასაფლავება** მოხდება ხვალ, 27 ოქტომბერს. ცხედარს დილის 10 საათზე სახლიდან გამოასვენებენ ვანქის ტაძარში. წირვის შემდეგ გაასვენებენ ხოჯივანქის სასაფლაოზე, სადაც დაკრძალავენ განსვენებულ გრიგოლ არწრუნის საფლავის გვერდით.

◆ **კრწანისის ბაღების მორწყვის** საკითხი ჩქარა სასურველად გადასწყდება. მებაღეები უკვე შეუთანხმდნენ რამდენიმე ფირმას. ფირმები მტკვრის ნაპირას მახქანებს დასდგამენ და ბაღებს სამყოფ სარწყავ წყალს მიაწვდიან.

◆ ქალაქის წყალსადენის ონკანის წყალში, რომელსაც მთელი ნავთლული სვამს, რაღაც ჭიები აღმოჩდა. წყალი შესამოწმებლად ქალაქის საექიმო ლაბორატორიაში გაგზავნეს.

◆ **ა. ა. ქალანთარის გარდაცვალების** გამო საზოგადო კლუბის საბჭომ დაადგინა, 1) დაესწროს განსვენებულის დასაფლავებას მთელის შემადგენლობით და 2) ის ფული, რომელიც გვირგვინისთვის იყო გადადებული, მიუძღოს განსვენებულის სახელობის ფონდს.

◆ მოვაგონებთ **ბ-ნ ბ. ბ. ბ.** რომ ქართულ გიმნაზიასთან არსებულმა **უფასო სასადილომ უკვე დაიწყო მოქმედება.** ამ სასადილოს გამგე კომიტეტი იმდენად ხელ-მოკლეა მატერიალურად, რომ ყოველი მცირნდი წვლილიც კი გამოადგება. ყველაზე მეტად ესაჭიროება კომიტეტს შეშა და სანივაგე. იმედია, ჩვენი საზოგადოება არ დაიშურებს თავის წვლილს.

◆ **ილიას საღამო.** კვირას, 27 ოქტომბერს, ქართულ თეატრში გაიმართება ილიას საღამო სალიტერატურო-სამუსიკო და საკონცერტო განყოფილებით.

◆ ხვალ გამოვა მე-2 ნომერი **„ჩვენი ხუმარა“**-სი.

◆ **ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი** ბაქოდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ **სასმელ წყლის ძებნაში.** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის გ. ნ. სტეფანოვის განკარგულებით ქალაქის წყალსადენის წყალი ბაქტეოროლოგმა მუხრანკინ შეამოწმა. წყალი კარგის თვისებისა აღმოჩნდა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **24 ღვინობისთვეს შესდგა ქ. შ. წ. კ. გამავრ. საზოგ. გამგეობის სხდომა.** მოხსენდა რა ამბავი „მშაკის“ რედაქტორის ‡ საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჰაირაპეტის ძის ქალანთარის გარდაცვალების შესახებ, გამგეობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და დაადგინა 1) განსვენებულის დაკრძალვას დაესწროს მთელი გამგეობა. 2) გამოეცხადოს ქირისუფლებს და გაზეთ „მშაკის“ რედაქციას სამძიმარი წერილობით და 3) ნაცვლად გვირგვინისა გადგზავნოს (25 მან.) ა. ა. ქალანთარის სახელობის თანხის გასაძლიერებლად.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წლიური კრება დანიშნულია 14 ნოემბრისთვის.

◆ **ქალაქის საბჭოს** კრება 24 ოქტომბრისთვის იყო დანიშნული. ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი არ გამოცხადებულა, რადგან ძის გარდაცვალების გამო ბაქოს იყო წასული. ხმოსნებიც მეტის მეტად ზანტად მოდიოდნენ. ცხრა საათისთვის უკვე 28 ხმოსანს ჰქონდა მოწერილი ხელი საგანგებო წიგნში, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ბევრს ხმოსანს წიგნში ხელი მოეწერა და წასულიყო და დარბაზში ხმოსანთა კანონიერი რიცხვი (საჭიროა 27 ხმოსნის დასწრება) აღარ აღმოჩნდა. ამის გამო კრება აღარ შესდგა. ამ დღეს განსახილველ საგანთა სიაში არც ერთი „სენსაციური“ საკითხი არ იყო შეტანილი, მაგრამ რამდენიმე ხმოსანი შეკითხვას აპირობდა ქალაქის გამგეობის სამოწისმზომლო განყოფილების საქმეთა და ტრამვაის

ბათურის ხმალი

(თქმულება)

I

ბათური ფშავში, თავის სამშობლოში, საკაცით მოიტანეს ბრძოლის ველიდან თანამოძმეებმა და დიდის ამბით მიაბარეს მშობელ მიწას. მოზარეთა ზარი დედამიწასა სძრავდა, მთებს ქედს ახრეკინებდა და ცრემლს ადენდა. ბევრმა ლამაზმა ქალმა და რძალმა მოიკრა ხმირი, ყორნის ბოლოსავით შავი თმა თორმეტ ნაწნავად დაწნული, ნინნად ღრმა მწუხარებისა. საკაცეს თან მოაყოლებდნენ ბათურის ცხენს რახტში ჩამჯდარს, ცხენსაც კი ჯავშანი ეცვა; ზედ არავინ არ იჯდა. უნაგირის ტახტებზე იყო დაკიდებული გმირის რკინის სამოსელი: პერანგი, ჩიჩქანი, საფუხრეები, სამკლავე—საჰერნეები—ხანჯალი, მშვილდი რქისა და საისრეები. თავად ბათურსაც მტრის ისარმა მოუღო ბოლო. გააფთრებულს ბრძოლაში, ხმლის ქნევის დროს, ისარი დაჰკრეს იღლიის ძირში, რადგან იმას არ უფარავდა ჯაჭვი. თუმცა ემძიმებოდა ოროლ კაცს საზიდავად, მაგრამ მისი სახელოვანი ხმალი მოწიწებით გულზე დაასვენეს და ამ გვარად მიიტანეს. ხმალი თუ გულზე ესვენა ვაჟკაცს, ცხენი თავით იყო დაყუდებული; პირ-უტყვიც თითქოს ჰგრძნობდა პატრონის უბედურებას და სწუხდა, ერთ ალაგას ვერ ისვენებდა.

მაგრამ ხალხი ხმალზე უფრო ბევრსა ლაპარაკობდა, ბათურის ხმალზე: ქარქაშიდან ამოდის და ქარქაშიანი სწუხს, მიცვალებულის მკერდიდან აქეთ-იქით გადად-გადმოდისო.

მოზარეები ხომ ამ ხმალზე დაბჯენილნი დასტიროდნენ მიცვალებულს, ყველა ერთად აღიარებდა: ხმალი თითქოს კვნესის, სულს იქცევსო.

ამის შემდეგ ბათურის ხმალმა უფრო სახელი გაითქვა. ამ ხმალზე ხალხი ბაღალი აზრისა იყო, რაღაც ღვთაებრივს ძალას აწერდნენ: თუ ხატი, ღმერთი, რჯული და დროშა გაიყიდება, ბათურის ხმალიც მხოლოდ მაშინ შეიძლება გაიყიდოსო. ომშიაც დიდად სახელგანთქმული იყო ეს ხმალი: რამდენჯერ უნახავთ რომ მის პატრონს თავის ძლიერის მკლავით შემოეკნიოს მტრისათვის და ცხენი თავის მხედრიანად გაეწყვეტინოს, შუა გაეპოს და თანაც ხმლის წვერი მიწიდან ამოეწვადოს. რამდენჯერ ჰქონიათ შემთხვევა, გზაკვალ დაბნეულს მტერს დაჰრეოდენ და, როგორც ანწლი, ისე ეკაფოსთ. ყველას ხმალს ადამიანის სისხლის და ქონისაგან, როგორც ადამიანს თვალებზე, ფხაზე ლიბრი გადაჰკვრია. ხმლები ჯოხებად ღა ქცეულა, მხოლოდ ერთი ბათურის ხმალი დარჩენილა ფხაზე სისხლ-მიუკარებელი.

დასაფლავების დროს დიდი კამათი გაიმართა ხალხში შესახებ იმისა, ჩაეყოლებინათ, თუ არა ბათურისთვის ხმალი საფლავში. უმრავლესობა თითქმის იმ აზრისა იყო, რომ ხმალსაც იქ უნდა ჰქონოდა ბინა, საცა ეს უცვალებელი ბინა დაიდვა მისმა პატრონმა, რადგან ეს მკვდარსაც ესიამოვნებოდა და მისი ხმალიც მოსვენებით იქნებოდა.

ბოლოს წამოდგა წინ მხცოვანი რაინდი ხეტე დიდი დაჯღანული, დაკეკნილის ცხვირით, სახეზე ორგან თუ სამგან სხვაგანაც ეტყობოდა ნაპრევები. მის დიდს ულვაშებს დიდი სქელი წარბები დასჩერებოდა ისე დიდი, თითქმის ერთი საბელი დაიწვნებოდა და ციხე გალავანივით ჩსაზღვრავდა გმირის დაბალს, ხმლისაგან გადასერილს შუბლსა.. ხეტემ მოკლედ სთქვა: „ეე, კაცებო, ფშაველებო! ჩვენ ახალს ვერც არას მოვიგონებთ, ვერც არას ვიტყვით. რაც ძველებს უთქვამს ჩვენც იმაზე დავდგეთო. და ამ დროს წარმოსთქვა ლექსი:

ნეტავ რად უნდა კარგს ყმასა
სამკლავე, საფუხარია?
მეც გამყვა სამარეშია,
მაგრამ ვერ მოვიხმარია:
არ დამანებეს ღთიშვილთა
ჩემი ხმალი და ფარია.
იქ არც მგზავრობა დამჭირდა,
არც ვინ შაყარა ჯარია.

ტყუილად ცოცხლებს დავაკელ,
შვილები გავამწარია.

ამ ლექსმა ყველა ჩააფიქრა. განა თუ გაგონილი არა ჰქონდათ წინადაც ეს ლექსი, მაგრამ ამ ჟამად როდი აგონდებოდათ. ეხლა ხეტემ მოაგონა და არც უნაყოფოდ ჩაიარა იმისმა ცდამ. ხეტე დანჯღრეულის, მაგარის ხმით ლაპარაკობდა, ცოტა თავდახრით იდგა. მარჯვენა ხელი სრულიად ჩამოშვებული ჰქონდა, ხოლო მარცხენით ხმლის გადასა ჰბღუჯავდა. თავს როდი სძრავდა, საუბრის დროს, კისერიც მგელივით, გაშეშებული ეჭირა, მხოლოდ თვალებს აგელებდა, აძვრენდა იქითაქეთ. საშინელი, საზარელი იყო ხეტეს თვალები: ცეცხლივით ენთებოდა და ამ თვალების მნახველი ყველა სხვა თვალები უნდა დამწვარიყო, ჩამქრალიყო. ძალა-უნებურად მის წინაშე უნდა თავი მოგეხარა. უსიტყვოდ დაგიმონებდა, გაგტეხდა, დაგალაჩრებდა ხეტეს მარტო ერთი შეხედვა. „ჩვენს ძმას ბათურს იქნება ან შვილი გამოადგეს ან შვილიშვილი, გამოუჩნდეს იმის ხმალს ღირსეული მხედარი, კარგი პატრონი. აიღოს ხელში და დადგეს საქართველოს დარაჯად, უპატრონოს რჯულსაქრისტიანოს.. საფლავში კი მიწამ უნდა შეეჭამოს. ეს რას ეგვანება!?“.

ამ სიტყვის შემდეგ ხალხმა უარჰყო თავის განზრახვა, აღარავინ ამბობდა. ხმალი ბათურს თან ჩაეყოლოთო. მას აქეთ დარჩა ეს ხმალი სამზეოზე და ძალა აქეთია კიდეც, როგორც ხალხი ამბობდა, ბათურის ხმალი დაღონებული იყო, მოუსვენრობდა, გლოვობდა თავის ერთგულს პატრონს, **ტიროდა.** დიდებული, საკვირველი სურათი იხატებოდა ადამიანის თვალწინ, როცა ხეტე დასტიროდა თავის ძმობილს ბათურს. გმირის ტირილი გამწარებული ვეფხვის რუხრუხსა ჰგვანდა, რომლისთვისაც ვიღაც თავხედ მონადირეს ლეკვები მოუპარავ, შვილების მაძებარი აწყდება აქეთიქით, ადუღებული სისხლი ყელში ებჯინება; რომ ნამდვილი მტერი ვერ უპოვნია ხესა და ქვას-ღა ჰღრღნის, მიწას ჰღადრავს კლანჭითა. ეს ტირილი უფრო წყევლა-კრულვა იყო მტრისა, ბრაზში და ნაღველში ამოვლებული, ცრემლით გაბანილი. მაგრამ ეს ცოტაა. ხეტეს გლოვის დასასურათებლად: ეს ვეფხვი უნდა იქცეს ცრემლის მფრქვეველ სალკლდედ თავის სიმტკიცით და შეუდრკელობით, მხოლოდ მას შერჩეს მსგავსება ვეფხვისა. ეს ორი საგანი შეაზავეთ ერთად ოცნებაში, ადინეთ ცრემლი, ალაპარაკეთ; მხოლოდ ამ გლოვისა და ვაების დროს სრულიად, უკლებლად შერჩეს სიმტკიცე, გაუტეხლობა დიდებულება კლდისა. ეს იქნებოდა სრული სურათი ხეტეს გლოვისა, მისი მოზარეობისა. ხეტეს ქვითინის დროს დანარჩენი მხედარნიც ბანს ეუბნებოდნენ.

II.

დიდი გლოვა-ტირილის შემდეგ მიცვალებული მიწას მიაბარეს, დიდი ალაპი გადაუხადეს, მრავალი შესანდობარი დაილია ბათურისა. დედაკაცებს ნატაბლი ქვაბებით, ჯამებით შინაც კი მიჰქონდათ.

ერთის კვირის შემდეგ ბათურის ცოლმა მკითხავს რომ აკითხვინა, ამ უკანასკნელმა გამოუცხადა, ცხენი ბათურისა ხეტესთვის მიეცათ საჩუქრად. ხოლო ხმლის შესახებ არაფერი პასუხი არ ისმოდა მიცვალებულისაგან და ამიტომ ხმალი სახლში დარჩა.

სამი წლის განმავლობაში ხმალი თავის საყვარელი პატრონის ლოგინს ამკობდა. მუდამ შაბათ დღეს, ან კვირას, მოზარე დედაკაცები იურიდნენ თავს ბათურის ოჯახში, სატირელი გამოჰქონდათ ეზოში და ყველა მოტირალი მის ხმალზე დაბჯენით ტიროდა ბათურს, იგონებდა მის ვაჟკაცობას, გმირობას... სამი წლის შემდეგ გლოვა გათავდა, ბათურის ლოგინიც აიღეს, ხოლო ხმალი მოწიწებით ჩამოჰკიდეს სხვა იარაღთან ერთად დედა-ბოძზე მიკრულ ირმის რქაზე. შვილები ბათურის, თავიანთ მამის ხმალს სწმენდენ, ჰფერავდენ, დუმას უსვამდენ, ჟანგი არ მიჰკარებოდა. ოჯახი ამ ხმალზე ლოცულობდა, იგი სალოცავ ხატად მიაჩნდათ მით უმეტეს, რომ მთელი ქვეყანაც ასე ფიქრობდა. შვილები, თუ ცა მამის ხმალი ძალიან მოსწონდათ, უყვარდათ და დედაც ეტყოდათ: არა, უნდა მამის ხმალი შემოირტყათო,—მაინც ისინი ვერა ჰბედავდენ, თავის თავს ღირსად არა სთვლიდენ სახელოვანი მამის ხმალი ტანზე ეტარებინათ. ამიტომ ლაშქარში, თუ მგზავრობაში თავ-თავიანთ ხმლებს ირტყამდენ წელზე. სხვა ვინ გაჰბედავდა ეთქვა, მათხოვეთო. ბათურის ხმალი მუდამ ერთ ალაგას ეკიდა და ყველა მომსვლელი ბათურის ოჯაში დიდ ბედნიერებადა სთვლიდა, თუ ვინმე ნებას მისცემდა სახელოვანი გმირის ხმალი ამოეღო ქარქაშიდან და თვალით დაენახა. ნახვის ნება ყველასაცა ჰქონდა, ხოლო შეეკრებისა, რა თქმა უნდა, არავის, ეს დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა ოჯახისა, თითქმის კაცის კვლასთან შესადარებელი. უნდა გენახათ ხალი რა სახე გაბრწყინებული ჰსინჯავდა ამ ხმალს და რამდენ ომსა და აბავს იგონებდენ ბათურის ხმალ ქვეშ გამოვლილს. „რა ღომაზი, რა შვენიერი ყოფილა, თქვენი ჭირიმეთ“—იყო უკანასკნელი სიტყვები ყველა მნახველისა...

ხოლო რამდენადაც ბედნიერი იყო ეს ოჯახი ამ ხმლის წყალობით, იმდენადვე უბედური, რადგან ბოლო ხანებში ისეთ სურათებს აკეთებდა, ყველა ოჯახის წევრს, დიდ საგონებელში აგდებდა, თავში გამოურკვეველ აზრებს ჰბადებდა, ამასთანავე შიშსა.

ბევრჯელ უნახავთ, მაგალითად, ღამით როცა ყველას ღრმა ძილით ეძინა, ცეცხლიც ღველფზე შეხვეული, ნაცარ მიყრილი—მთელ დარბაზში წყვდიადი გამეფებული, ხმალი თავისთავად ამოწვდილა ქარქაშიდან და დაუწყია ჰაერში ნავარდი, პრიალი, ისე, როგორც მას ბრძოლის დროს ატრიალებდა ბათური. შემდეგ თავისთავადვე ჩაგებულა ქარქასში. ამ ამბის მნახველი რამდენიმე წევრი იყო ოჯახის ცალ-ცალკე, ხოლო მაგალითი არა ყოფილა ხმლის ნავარდი ორს ერთად ენახა.

ხმლის ნავარდი ერთ ღამეს ბათურის უფროსმა შვილმა ელიზბარმაც ნახა და მეორე დილას ხმლის პირდაპირ სკამზე მჯდომარე მოთქვით სტიროდა:

— „დავსილო, ხმალაო, დავსილო. დასწუხდი განა მამისჩემისაკე, ბეჩავო განა?! ტყუილია იმისთანა პატრონს შენ ვეღარ იშოვნი ჩვენ, შენის მხედრობის თავი არა გვაქვს. ომში რო წაგიღოთ მტერს გადაგცემთ, ტყუილად თავს შევირცხვენთ. ლაშქარს ხმლიანად წასულნი შინ უხმლოდ დავბრუნდებითო“. ელიზბარმა, რაც იმ ღამეს მოიხილა ყველაფერი ძმას ქურსიკას და დედას სეთურს უამბო.

— ვინ იცის, შვილებო, იქნება არ იყოს კარგი ხმალი რო ყველაის სახელოდ გვიკიდავ, ყველას ვინჯვინებთ. ვინ იცის ვინ რა გულითა და სულითა ჰსინჯავსო. ხმალისაგან ამ ამბავ ეს ამბავ ეს ამბავ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექციის დაჯარიმების საკითხის გამო გაფიცვის დღეებისთვის.

◆ **მშობელთა წრეების კრება.** ტფ. მშობელთა წრეების ცენტრალური საბჭოს აზრად აქვს, მოიწვიოს ტფილისში კავკასიის მშობელთა წრეების წარმომადგენელთა კრება. ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად საბჭოს ამ ერთს კვირაში საგანგებო კრება ექნება.

◆ კვირას, 27 ოქტომბერს, „განათლების“ საზოგადოების სკოლის შენობაში **დანიშნულია „განათლების“ საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება.** სხვა საკითხთა შორის ამ კრებაზე უნდა გადასწყდეს ფრიად საყურადღებო, მწვავე საკითხი: სასწავლებლის უფლებების მოსაპოვებლად შესაფერ შუამდგომლობის აღძვრის შესახებ.

◆ **ქართ. სასოფ.-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება მოხდა 23 ოქტომბერს სასოფლო მეურნეობის ინსპექტორის ს. ნ. ტიმოფეევის მონაწილეობით. სამჭიმ მოიწონა მომავალ სამუშაოს გეგმა იყალთოსა და მუკუზანში. საბჭომ ამასთანავე დაადგინა, ამ დღეებში ს. ნ. ტიმოფეევთან ერთად ადგილობრივ დაათვალიეროს საზოგადოების მამულები.

◆ **ქართველ ქალთა საზოგადოების** საბჭოს პირველი კრება დღეისთვის არის დანიშნული.

◆ **ქუჩებისთვის სახელის დამრქმევ საქალაქო** კომისიის კრება დღეისთვის არის დანიშნული.

◆ **მასწავლებელ ქალთა საზოგადოებას** წარსულ საანგარიშო წელს (1912 წლის 1 სექტემბრიდან 1913 წლის 1 სექტემბრამდე) 277 ნამდვილი წევრი ჰყოლია. ამ ხანში საზოგადოებას ჰქონია საკვირაო სკოლა 200 მოსწავლით და საქალებო სასწავლებელი ავლაბარში; გაუმართავს ლექციები, ექსკურსიები, მოძრავი სათამაშოები ბავშთათვის (ალექსანდრეს ბაღში) და სხვა. შემოსავალი ჰქონია 3,313 მან. 45 კ., ხარჯი—3,443 მან. 98 კ.

სასწავლებლებში

◆ **საეპისკოპოსო რევიზია.** ერევნის ეპისკოპოსი პიმენი ამ დღეებში შარშანდელისავით კვლავ დაიწყებს სიარულს საშუალო სასწავლებლებში და სამღვთო-სჯულის გაკვეთილებს დაესწრება.

ჟუთაისი.

◆ ოთხშაბათს 23 ოქტომბერს ქუთაისს დაბრუნდა სათათბიროს დეპუტატი ვ. გელოვანი. მან მოიარა ფოთი ოზურგეთი, ზუგდიდი, სენაკი და სხ. ადგილები 24 ოქტომბერს ფარცხანაყანევსა, მაღლაკსა და ქვიტირს გაემგზავრა, საიდანაც საღამოს დაბრუნდება და საღამოსვე პეტერბურგს მიემგზავრება.

◆ გუშინ-წინ თეთრი ხიდიდან რომელსაც მუშები ადგას და ახალ იატაკს აგებენ, ორი მუშა მოულოდნელად გადავარდნილ: ერთი საზარლად დასახჩრებული და ცოცხალ მკვდარიო. მეორეს იმდენად არაფერი დაშავებია.

◆ შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში ქალთა მორიგი კრება მოხდება. საქართველოს ისტორიიდან ისაუბრებს ია ეკალაძე.

◆ 22 ოქტომბერს მესხეთის ქუჩაზე მცხოვრებ ბესარიონ ბუაძ ს ქალიშვილი მოიტაცეს. მომტაცებელს ეძებენ, მაგრამ დღემდე ვერ მიუგნიათ.

◆ ქუთაისის ოლქის სასამართლოს გამომძიებელს კარსკის უკვე დაუსრულებია ნ. ნიკოლაძის საქმის გამოძიება და ამ დღეებში გადასცემს საქმეს პალატის ბრალმდებელს.

◆ გუშინ გაგარინის ქუჩაზე, ებრაელთა უბანში, შემდეგი უბედურობა დატრიალდა: მუშები ბალავერსა სთხრიდნენ ქვის კედლის გვერდით; კედელი წამოქცეულა და ქვეშ მოჰყოლია ორი მუშა, რომელთაგან ერთს გამოუსწვრია და მეორე კი ცოცხალ-მკვდარი ნანგრევებიდან გამოუთრევიათ და საავადმყოფოში წაუყვანიათ.

◆ 23 ოქტომბერს ქუთაისის ქალაქის საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა ყასაბთა და მეპურეთა თხოვნა ნიხრის მომატების შესახებ.

◆ 23 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, შავი-ქვის საბჭო ჭიათურას გაემგზავრა, სადაც ორ დღეს დაჰყოფს. 26 ოქტომბერს საბჭო ქუთაისს დაბრუნდება.

◆ 23 ოქტომბერს ქალაქის საბჭომ ყველა საკითხის განხილვა ვერ მოასწრო და სხდომა მეორე დღისთვის გადასდვა. ამ დღეს გაირჩევა საკითხი წყალსადენისა, ელექტროენით განათებისა და ტრამვაის გაკეთების შესახებ.

◆ 1 ნოემბერს, ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესია ბათომს მიემგზავრება, სადაც 9 დღეს დარჩება.

თელავი.

◆ **პოლიციელთა შეტაკება ყაჩაღებთან.** ამ დღეებში თელავის მაზრაში პოლიციელებს შეტაკება მოუხდა ყაჩაღებთან: საქმე ასე მოხდა: ჩაფართა რაზმი უფროს ჩაფრის თელა ვალიშვილის მეთაურობით ცნობილ ყაჩაღ სვიმონიშვილის ამხანაგებს „ეორეიკა“ ბერძენიშვილსა, გიგა სესიკაშვილსა და სხვებს დაეძებდა აკურისა და წინანდალის აგარაკში. რაზმმა ყაჩაღებს მართლაც ძოასწრო საგინაშვილის უზარმაზარ ბაღში. ყაჩაღებმა დაუყოვნებლად რევოლვერების სროლა ატეხეს და გულში მძიმედ დასჭრეს ვალიშვილი. დაჭრილი მაინც გამოეკიდა გაქცეულ ყაჩაღებს, მაგრამ ტყვიით ხელახლა იქმნა დაჭრილი მეცხელში და ვაზებში დაეცა. მეორე ჩაფარი თედეშვილი ვენახიდან გზაზე გადახტა და იქიდან სროლა დაუწყო, მაგრამ ისიც დაჭრილ იქმნა ფეხში. დაჭრილმა თედეშვილმა სროლა მაინც განაგრძო და ტყვიით დასჭრა ერთი ყაჩაღთაგანი, რომელმაც თოფი ხელიდან გაადგო, მაგრამ ისევ ჩქარა აიღო, შეუერთდა დანარჩენ ამხანაგებს და მათთან ერთად ჯერ ვაზებში დაიმალა და შემდეგ წინანდალის ტყისაკენ გაიქცა. იმ ადგილიდან, სადაც ყაჩაღები იყვნენ, სისხლის კვალი მიდის 22 საჟენის მანძილზე და შემდეგ სწყდება. მოიყვანეს მაძებარი ძაღლი, რომელმაც ორი ვერსი გაიარა და შემდეგ კვალი დაჰკარგა. ყაჩაღთა დევნა გრძელდება. დაჭრილი ჩაფარი ვალიშვილი ერთის საათის შემდეგ გარდაიცვალა.

დუნის-რუსტოვი.

◆ ამ დღეებში აქ „ახალთის“ მევენახეთა საზოგადოების განყოფილება გაიხსნა ქალაქის შუა ადგილას, მთავარ ქუჩაზე (დ. ბალის ქუჩა), ლამაზ შენობაში. განყოფილების გამგედ საზოგადოების მიერ დანიშნულია ბ. ა. ბ. სარაჯიშვილი, ვაჭრობაში გამოცდილი და მხნე ადამიანი. ვინც ოდნავადაც იცნობს დონის ოლქს და მის ღვინის ბაზარს დაგვეთანხმება, რომ განყოფილებისათვის პირველი წელიწადიც სახეირო იქნება. კახურ ღვინოს აქ საკმაოდ დიდი ბაზარი აქვს. რუსის საზოგადოებას საშუალება მიეცემა განყოფილებიდან ნამდვილი კახური ღვინო შეიძინოს. აქამდე კახური ღვინის გასაღების საქმე ვერ იყო კარგად დაყენებული. იმედია ეხლა საქმე მოწესრიგდება ჭკარგი ხარისხის ღვინის მიწოდებით მომხმარებლების ყურადღებას დაიმსახურებენ.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემა

როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, წიგნი გამოვა 27 ამა ოქტომბერს ილიას დაბადების დღეს და წიგნის მიღება შეიძლება გამომცემლობის ბინაზე (ყორღანოვის ქუჩა, № 20, სახლი მიხ. გედევანიშვილისა) წიგნი დარიგდება თანდათანობით, როგორც, მკაზმავი ჩაბარებს გამომცემლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟამად მხოლოდ მცირე რიცხვია დამზადებული, სარედაქციო კომისიამ დაადგინა: დიდებულ მგოსნის დაბადების დღის აღსანიშნავად 27 ოქტომბერს გამოუშვას მაინც და მაინც ეს მცირე რიცხვი დასარიგებლად.

სხვათა შორის შევიტყეთ, რომ სარედაქციო კომისიას დაუდგენია: შესწიროს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას გამოცემისათვის მხატვარ გრინევიჩის მიერ დახატული დიდი და პატარა სურათები განზრახულ მუზეუმში მოსათავსებლად. გარდა ამისა სარედაქციო კომისიას განუზრახავს ანკეტა მოახდინოს ხელის მომწერთა შორის შემდეგ ცნობების მისაღებად: 1) გვარი და სახელი, 2) წლოვანება, 3) წოდება, 4) პროფესია და 5) განათლება. ხელის მომწერთ, ვისაც ჰსურს წიგნი მიიღოს ფასდადებით, უნდა აცნობოს გამომცემლობას და ამასთანავე მიაწოდოს პასუხი ზემოხსენებულ კითხვებისა.

საგავშო გასართობები

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა წლევანდელ სეზონში ბავშვებიც არ დაივიწყოს და დრო-გამოშვებით მათთვისაც გამართოს ხოლმე წარმოდგენები. პირველი საბავშო დილა გაიმართება კვირას, 27 ოქტომბერს. ეს მოვლენა იმდენად სასიამოვნო და საყურადღებოა, რომ შეიძლება ბევრს მშობელთაგანს წარმოდგენაც კი არა ჰქონდეს. მარშან ამ საკითხს ჩვენ რამდენიმე წერილი ვუძღვენით. აღვნიშნეთ, თუ რა მივიწყებულია ჩვენი ბავშვები გასართობების მხრივ. მხოლოდ ბურთი, ლახტი და ასეთი პრიმიტიული გასართობები თუ აქვთ მათ, თორემ სხვა რასმე ჯერ არ ღირსებიან ჩვენი საზოგადოებისაგან. არც ჩვეხი მშობლები, რომელთაც ეს საკითხი განსაკუთრებით უნდა აინტერესებდეთ, არც მასწავლებელ-აღმზრდელები არ აქცევენ ყურადღებას საბავშო გასართობებს, მაშინ, როდესაც მას განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ჩვენი ბავშებს აღზრდა-განათლების საქმეში. ის, რაც აღკრძალულია სასწავლებლებში მთავრობის მხრივ, ის რაც განდევნილია ოჯახებიდან, საზოგადოებრივ ადგილებიდან, ხელოვნებიდან, ქართული ენა, შეიძლება გადატანილი იქნას გონივრულ გასართობებში. მხოლოდ ამას უნდა შესაფერი პირობები და შესაფერი მცოდნე პირნი საორგანიზაციოდ. ყოველ ქალაქში, უცხოეთისა იგი, თუ რუსეთისა, არსებობს საბავშო ბაღები, სხვა და სხვა გასართობით. ქალაქის ყოველ ბაღშიაც კი არის გაკეთებული სხვა და სხვა სათამაშოსათვის ძოსაწყობი. ზაფხულ-ზამთარ ბავშებს შეძლება აქვთ დღეში რამდენიმე საათი მოანდომონ ფუტბოლს, ლაუნ-ტენისს, კროკეტს, მარხილით სრიალს და სხვა და სხვა. გარდა ამისა ყოველ თეატრში იმართება ხოლმე საბავშო წარმოდგენები, რომელზედაც ბავშები დიდის სიამოვნებით დაიარებიან. მხოლოდ ჩვენ, ქართველებს, აქამდე არაფერი არ გაგვიკეთებია ბავშებისათვის. „ახალმა კლუბმა“ თითქოს მოისურვა ამ ნაკლის შევსება, მაგრამ თვით კლუბის მესვეურები ორიგინალურად მოიქცნენ: შესაფერ ხარჯის გაწევას მოერიდნენ და საქმე ხელში ჩაუკდეს ისეთ პირებს, რომელნიც არ იწვევდნენ მათდამი სიმპატიას ჭნდობას. ასეთი საძნელო საქმის გაკეთება, რასაკვირველია, არ მიენდობოდა ისეთ პირებს, რომელთაც პედაგოგიურ პრინციპებისა არა გაეგებათ რა; მშვენიერი იდეა ჩაუგდეს ხელში სრულიად უვიცა ადამიანებს, და ის საბავშო საღამოები, რომელსაც კლუბში ვიღაც „მოპარუსკე ბარიშნები“ აწყობდნენ, ქართველ ბავშებ-სათვის მავნებელიც გადაიქცა. თამაშობა-გასართობები, რასაკვირველია, სულ უცხო იყო, თამაშობის დროს რუსულად ლაპარაკობდნენ, საბავშო წარმოდგენებიც უმეტეს ნაწილად რუსულ ენაზე იდგმებოდა, ასე რომ, კლუბის საღამოები ქართველ ბავშთა გარუსების ერთ-ერთ იარაღად გადაიქცა. საბედნიეროდ, ეს საღამოები ხანგრძლივი არ იყო და, იმედია, ამსახით კვლავ არ განმეორდება. ეხლა ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ქართული დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ, პირველი ნაბიჯი საყურადღებოა და მისალოცი. წინადაც მართავდნენ ქართულ თეატრში საბავშო დილებს, მაგრამ უმჯობესი იყო ასეთი სულაც არ გაემართად. თუ დაიდგმებოდა, ისევ „პატარა კახი“ თორემ სხვას ვერას აჩერებდნენ და ესეც დამახინჯებულ — შემოკლებული: თამაშობდნენ მეორე ხარისხოვანი მსახიობები, შესაფერად რეჟისორის ცოდნასა და შესაფერ მიზანსცენებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ისე გამოდიოდა თითქოს შარეს ადგენდნენ და პაწია ბავშებისთვის გამართულ წარმოდგენას სასაცილოდ იღებდნენ მაშინ, როდესაც ამ წარმოდგენებს გაცილებით მეტი ყურადღების მიქცევა უნდა, ვიდრე საზოგადოდ. რეჟისორი კარგად უნდა ჩაუკვირდეს ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას, ბავშის სულიერ განცდას, ოჯახში თუ სკოლაში და შესაფერი პიესები ამოარჩიოს. გარდა ამისა ეს პიესები სიუკეთესოდ უნდა მოეწყოს, მონაწილეობა საუკეთესო მსახიობებმა უნდა მიიღონ და მოთამაშენიც მეტის გულმოდგინეობით უნდა მოეკიდნენ საქმეს. თუ ეს და ბევრი სხვა მოთხოვნილებაც შესრულებული არ იქნება მეთაურების მიერ, ყოველი ცდა ფუჭი იქნება. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ დრამატიული საზოგადოების გამგეობა საქმეს შესაფერი თაოსნობით მოჰკიდებია. მართალია ჯერ-ჯერობით შესაფერი რეპერტუარი არა გვაქვს, მაგრამ თუ საქმეს სიყვარულით მოჰკიდებენ ხელს რეპერტუარიც მალე გაჩნდება.

კორდელი.

ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ს. ეწერი (ქუთაისის მაზრა).

(დაგვიანებული პასუხი ბ. დროებით ეწრელს).

სახალხო გაზეთის № 960 ს. ეწერის სასწავლებლის გადატანის შესახებ დასტამბულია წერილი ვიღაც დროებით ეწრელისა. მართლაც ამ წერილის ავტორი დროებით ჩამოსულა ს. ეწერში და ვიღაცების მიერ მოკორილი ამბავი მოუთავსებია გაზეთის ფურცლებზე. ბ. დრ. ეწრელი მოგვითხრობს რა გადამახინჯებულად სკოლის გადატანის ისტორიას, დასძენს: საშუალო ადგილად კოპიტნარა როგორ იქნა არჩეული დღესაც ყველასათვის საკითხად რჩებაო“. საასკოლო ადგილის გამოსაძებნად საზოგადოებამ აირჩია თითოეულ სოფლიდან თითო კაცი, ეგრედწოდებული გამზომი კომისია, რომელსაც დაავალა მამასახლისის თანადასწრებით აღმოეჩინა სასკოლო ადგილი. კომისია წინასწარ ურთიერთ შორის ხელწერილის დადების შემდეგ, შეუდგა საქმეს და სკოლისათვის გამონახა საშუალო ადგილი „კოპიტნარა“, ეს ამ გვარად მოხდა კოპიტნარას არჩევა, რომლის დოკუმენტიც ინახება, სადაც ჯერ არს. ხოლო თუ როგორ დაადგინა ყრილობამ ამაზე თავისი განაჩენი, ამას ეხლავე მოგახსენებთ: „კოპიტნარა და წყაროსთავი“ ეს ორი მოპირდაპირე ადგილი ერთი მეორეს სასტიკი მეტოქეობას უწევდა; ვერც ერთმა და ვერც მეორემ ხმის დიდი უმრავლესობით ვერ გაიმარჯვა. აქ წყაროს-თაველების ვერავითარმა პროტექციებმა და ინსპექტორების ცალმხრიობამაც საქმის გადწყვეტას ვერ უშველა და ამ გვარად ეს დავაც ერთ ხანად მიწყნარდა. ბოლოს სიჩუმე ისევ წყაროს-თაველებმა დაარღვიეს, მათ შემოიტანეს წინადადება სოფლის ყრილობაზე მოეწვიათ საეტრედიის ბოქაული ბ. ალხაზაშვილი, რომ მისის თანდასწრებით ხალხს ერთ-ერთ დასახელებულ ადგილზე განაჩენი დაედგინა. ბოქაული ორივე მხარის თანხმობით იქნა მოწვეული, რომელიც მართლაც სამართლიანად შეეცადა საქმის დაბოლოვება. რადგან ამ დღეს ხმები ისევ შუაზე გაიყო, ბოქაულმა ურჩია ყრილობას: აერჩიათ სანდოდ ხელო კომისია და მისი გადაწყვეტილება სავალდებულოდ გაეხადა. ამ წინადადებას ხალხი ერთ-ხმად მიეზრო და მაშინვე აირჩეს ყველა კუთხიდან კაცები. კომისიამ მცირე ხნის თათბირის შემდეგ გამოიტანა თავისი დადგენილება: დაამტკიცა საშუალო ადგილი „კოპიტნარა“, რომელიც მიიღო ყრილობამ და დაადგინა ამაზე განაჩენი. მიუხედავად მრავალგვარი საჩივრისა და ცილისწამებისა, ეს განაჩენი უმაღლესმა მთავრობამ დაადასტურა და ამნაირად დასრულდა საშუალო ადგილის „კოპიტნარას“ დამტკიცების ისტორიაც. ბ. დრ. ეწრელი კი მკითხველ საზოგადოებას არწმუნებს: „ვიღაც სოფლის მბრძანებლებს მოუწვევიათ ბოქაული და მასაც მათრახების საშუალებით აუძულებია ხალხი განაჩენზე ხელი მოეწერათო“. ეს ცილის წამებაა, სხვა დროს რა მოგახსენოთ, და ამ დღეს კი ბოქაულის მხრივ მათრახის ხსენებაც კი არ ყოფილა, გარდა მეგობრული რჩევა-დარიგებისა. ბოლოს ბ. დრ. ეწრელი ბრაზმორეული ჰაიცხავს საშუალო ადგილს: გველ-ბაყაყებით არის სავსეო და სკოლის გამოყოფვით გვემუქრება. სკოლის გაერთიანებისა და გაძლიერების ნაცვლად იგი ხალხს დაუძლურებას ურჩევს: დიდი სკოლის აშენება დიდ ხარჯს მოითხოვს, დაიღუპებით, ტყავი დაგძვრებათო“ და სხვა. აი ასეთ ტკივან ადგილზე უთითებდა ბ. დრ. ეწრელი ხალხს სოფლის ყრილობის დროს, რომლის მომხრედ გამოდიან ზოგიერთი ვაჟბატონებიც და დაჟინებით მოითხოვენ აუცილებლად სკოლა უნდა გავყოთო“, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს სოფლის შეგნებული ნაწილი არ აჰყვება ასეთ პროვოკაციას და დაწყებულ საქმეს ღირსეულად დაგვირგვინებს; მით უმეტეს საქმის დაბოლოვებას ცოტაღა უკლია; 5000 მ. უკვე მოგროვილია და ხაზინაში ინახება. ერთ მესამედს ამ თანხისას თვით სახალხო სკოლების დირექცია იძლევა და ამ საერთო თანხით სკოლის იმ გეგმით აშენება სრულიად შესაძლებელია, რომელი გეგმაც უკვე დამტკიცებულია. ექვს გარეშეა, რომ ხალხს ამ თანხაზე რაიმეს ზედ დამატება მოუნდეს, მხოლოდ საჭიროა ეხლავე შეუდგეს საქმის დაჩქარებას ადგილის შესაძენად არჩეული კომისია და კანონიერად დამტკიცება წარუდგინოს, ვისაც ჯერ არს, რომ მალე დაინიშნოს სკოლის შენობის იჯარით გაცემის საქმე.

ხალხის მოკეთე.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ქართული თეატრი. გაისმის ერთფეროვანი მუსიკის ხმა, დამსხვრეული ჰანგი. წინასწარ გრძნობთ, რომ დროთა ჩვეულებრივი სრბოლა შეჩერდა და დიდი განსაცდელია განმზადებული. შემოდიან იდუმლად, თეთრად შემოსილნი ქალები ყვავილებით და სანთლებით, მსხვერპლს შესწირავენ ღმერთს და ჩუმის ლოცვით, წყნარად შეავედრებენ თავს. შიში გიახლოვდებათ, თითქოს გესმით ღმერთების რისხვა. აჰა, მორბის თავზარდაცემული ხალხი, საშინელის ყვირილით შეღაღადებს შველას ოდიპოს მეფეს: ქალაქი იღუპება განუკურნებელ სენისაგან და ხსნა არსაიდანაა. მაგრამ რა ადგილი აქვს შიშს იქ, სადაც ოიდიპოს მეფეა: შემოდის ახოვანი, დიდებული, ამაყი, მძლეთა მძლე ოიდიპოს, ნამდვილი მეფე თვით შეგნებით, სულიერის სიძლიერით. მეფე ანფანტავს ხალხის მწუხარებას, ჰპირდება, რომ გამოიკვლევს მიზეზს უბედურებისას და, ვინც უნდა იყოს დამნაშავე, შეუბრალებლად დასჯის.

ღვთის სწორს ოიდიპოს ღრმად რწამს თავისი სიბრძნე და მძლეთა მძლეობა, მეტად ენდობა თავის თავს და ოდნავი ეჭვიც არ ეკარება მის ლაღს სულს, რომ იგი ბრძენი ნამდვილად უურეგვენესია მთელს დედამიწაზე, ბედნიერი უუბედურესია, რომ ის, ვინც თამამად, მედიდურად შეჰყურებს ღმერთებს, მთლად დაიმსხვრევა და ფერფლად იქცევა. ადამიანო, ბედნიერებას ნუ დაენდობი, ეკრძალოდე ღმერთებს, ვერ მიწვდები მათ განგებას, გვეუბნება იდუმალი ხმა. და აი ნელნელა გადაიხდება ფარდა, ცოტ-ცოტად ცხადდება ფარული და ჩვენს წინ იშლება საშინელი ტრაგედია ოიდიპოს მეფისა, რომლის მსგავსი მეორე დღემდის არ გვინახავს, არა გვსმენია...

სოფოკლეს ტრაგედია სამართლიანად ითვლება ტრაგედიათა ტრაგედიად. იგი საუცხოვო ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს დრამა; ნათლად გვიჩვენებს, თუ რა არის ტრაგიული ცხოვრებაში, რა არის წარმოდგენის დანიშნულება, რომელიც გართობა კი არაა, არამედ რელიგიური განცდაა, სულიერი განწმენდა, ზნეობრივი ამაღლება. სოფოკლესთვის თეატრი ჭეშმარიტი ტაძარია, სადაც წარმოდგენას მყურებლები ისე ეზიარებიან, როგორც მორწმუნენი საეკლესიო წირვას და მღვდელ-მსახურებას.

გუშინდელი წარმოდგენა „ოიდიპოს მეფისა“ ქართულ ენაზე ჩვენი თეატრის დღესასწაული იყო. მზემ მძლიერად შეაშუქა ქართულ სცენაზე. ჩვენმა მსახიობებმა ხელოვანის ხმით იწყეს ლაპარაკი და მხატვრული გამოსახულება მიიღეს. ეს არ იყო სრული აღდგენა ანტიურ განცდათა, მაგრამ ეს იყო მოახლოვება და ესეც დიდი გამარჯვებაა. ჩვენ იშვიათად გვიგვრძნია ასე ჩვენს თეატრში ხელოვნების ძლიერება. ბ. იმედაშვილმა მძლავრ არტისტად გვიჩვენა თავისი თავი: იგი ოიდიპოს მშვენიერი იყო—ჯერ დიადი მეფე, მერე სასტიკად დამარცხებული, საშინლად დატანჯული, წამებული; მისი ხმა ჯერ ქუხილი იყო, შემდეგ მეტად შესაბრალისი, საკოდავი; ჩვენც ვიტანჯოდით მასთან ერთად და ჩვენი ცრემლები ჩაეწვეთა მის ცრემლებს. კარგი იყო ბ. ზარდალიშვილი (კრეონ). რიგიანად შეასრულა იოკასტეს როლი ქ. ქიქოძის ასულმა. საჭირო იყო, რომ ბ. იშხნელს მეტის იდუმალობის, საიქიოების ელფერი მიეცა ტირეზიოსის სიტყვებისთვის: ესეც ხომ ისახარის მზგავსი ადამიანია, რომელიც იმ ქვეყნიდან დაბრუნებლის კილოთი ლაპარაკობს. მლოცველი ქალები—ცხოვრების საიდუმლოების გამომსახველნი, ხორო მოხუცთა—ხალხის, ერის სიბრძნის წარმომადგენელნი, ბრბო—პირდაპირ მგრძნობი, დაურიდებელი, უბედურების გრძნობის განმცდელი—საუცხოოდ აშუქებდნენ ტრაგედიის დედა აზრს და ხელს უწყობდნენ მის სინათლეს და მოქმედებას.

სამწუხაროა, რომ წარმოდგენას დიდი საზოგადოება არ დაესწრო, თეატრი ნახევრად ცალიერი იყო და ჩვენი ინტელიგენტები კლუბისაკენ მიეპარებოდნენ და გვერდი აუქცია დიდებულს დღესასწაულს. სასურველია, რომ დრამატიულმა საზოგადოებამ „ოიდიპოს მეფე“ კიდევ დადგას რომელსამე კვირა დღეს და ამით საშუალება მისცეს მდაბიო ხალხს და მოსწავლე ახალგაზდობას დასტკბეს ნამდვილის ხელოვნებით.

ერთი პატარა შენიშვნა: არსებობს სოფოკლეს ტრაგედის საუცხოვო თარგმანი პ. ქავთარაძისა და რატომ ამ თარგმანით არ ითამაშეს ჩვენმა მსახიობებმა?

კალამი.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

25 ოქტომბერი.

ᲑᲔᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

კრასოვსკის და მისი თანამშრომლების მახალინისა და კარაევის გამოძიების გამო ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ ეგრედ წოდებულ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ამოტივტივდა ტიპი პოლიტიკურ პროვოკატორისა, რომლის წარმომადგენელი ცნობილი ებრაელი აზეფია. თავმჯდომარე შეჰკერებს ბრალმდებელს, რომელიც უპასუხებს, მე მხოლოდ პროვოკატორის

ტიპის გამორკვევა მსურს და სრულებით არ მაინტერესებს, თუ როგორ ეროვნების ეკუთვნის აზეფიო. მახალინი და კარაევი ორივენი ექსპროპრიაციისთვის ისხდნენ ციხეში. მახალინს, მიუხედავად იმისა, რომ განათლება არ მიუღია, მშვენივრად შეუსწავლია ენა, მანერები, თავი კარგად უჭერია და საერთოდ ძლიერ მოხერხებული ჰირია, მოქმედება მისი პროვოკატორულია, ივანოვის სიტყვით თვეში 50 მანეთს იღებდა, ალბად მეტსაც აძლევდნენ. მახალინის ლაპარაკის დროს ალბად ნაფიცი მსაჯულნი ფიქრობდნენ: რა მშვენიერი ახალგაზრდაა, ჟენშარიტების აღსადგენად არ დაერიდა არაფერს, გაეცნო ავაზაკებს, მაგრამ კარგად გაიკანონ ეს თავაზიანი ახალგაზრდა და მიხედებით, თუ როგორ მოატყუილებდა თუმცა მკარცველებს, მაგრამ ძლიერ გულუბრყვილო ადამიანებს: ლატიშევი, სიგნაევსკი და რუძინსკი. კრასოვსკი, მახალინი და კარაევი ეს სამი ვეშაპია, რომელსაც დაემყარა ბრაზული. მაგრამ ბრაზული ჩამოაცალეს საქმეს და კრასოვსკი წამოაყენეს წინ. კრასოვსკიმ შეაშინა სიგნაევსკი. ეშმაკობა ბევრი მოიხმარა, მაგრამ გულუბრყვილო სიგნაევსკიც ვერ გააბეს. დიაკონოვის ქალების, მალიცკაის, შვაჩკოს და ვიშემირსკი თაობაზე ბრალმდებული ამბობს: ეგენი კრასოვსკის ტყუილი მოწმეები არიან. სიცილით მოვიხსენიებდი ამ ცრუ მოწმეების ჩვენებას, რომ თვალწინ არ ძედგეს იუშჩინსკის აჩრდილი. შეუძლებელია არ აღელდე, როდესაც ამდენ ტყუილს ისმენ. ბრალმდებელი აღიარებს, რომ ბევრს უცნაურობას ჩადის, მაგრამ როცა აშკარა ტყუილების გაბათილება გიხდება, დაწყნარებული ვერ იქმნები. შვაჩკოს ჩვენების თაობაზე, რომელიც იუშჩინსკის მიერ სოფიის ტაძრის გაქურდვის განზრახვას ამტკიცებდა და კრასოვსკის მიერ ანდრიას ცუდის მხრით დახასიათების გამო აღშფოთებული წამოძახებს: არ მიეკაროთ ამ საფლავს, თქვენ ამით თქვენს ბრალდებას სპობთ. მთავრობა, აცხადებს ბრალმდებელი, არაფერს მალავს. სიგნაევსკი ამბანაგები დამნაშავენი რომ ყოფილიყვნენ, სამართალში მისცემდნენ მათ. მაგრამ მათი უდანაშაულობა დამტკიცდა. ვერსია ჩებერიაკის შესახებ სამუდამოდ გაჭრა. გამორკვეულია, რომ ანდრიას ვიღაც ქერა ებრაელი დასდევდა. ბოროტი ადამიანები თოფსა და წამალს აძლევდნენ და იტყუებდნენ. აძლევდნენ კანფეტებს და სხვა. ენერამ სთქვა, რომ მათ ღარ ათამაშებენ, ვიღაც შავ წვერიანია ბავშვები დაიფრთხო. ბავშვებმა ყველაფერი იციან, მაგრამ ყველამ ხომ არ იცის, როგორ უნდა გამოჰკითხოს ბავშვებს. ვერა და ვასილი ჩებერიაკები არ მალავენ, რომ ბეილისმა დაიქირა იუშჩინსკი, ხოლო ბავშვები დაიფრთხო. პოლიციასაც ეგეთივ უთხრეს ბავშვებმა. ჩებერიაკის თაობაზე ლაპარაკს ბრალმდებელი მეტად სთვლის, რადგან ის მოწმეა და არა დანაშავე. როგორია როლი ჩებერიაკისა ამ საქმეში, მას არ შეუძლიან თქვას, ან ვინ სთქვა პირველად ჩებერიაკზე, სად არს სათავე ჩებერიაკის გასამტყუვნებლად შეთხზული ამბისა, არც მაგის თქმა შეიძლება. ზაიცევის ეზოში თავშესაფარი, გახსნეს, მის კურთხევაზე არცერთი რუსი არ დასწრებია და არც უშვებდნენ რუსებს, ნამდვილად ეს სამლოცველო იყო, სადაც ცნობილი ზელმან შნეერსონის სეკტის დამაარსებელის მეგობარი ყანაბი შნეერსონი დადიოდა მაშ, ვინ არის დამნაშავე, კითხულობს ბრალმდებელი. „ბეილისი“? ის დანაშავეთა საკმაზე ზის კიდევაც. გამორკვეულია რომ ბეილისმა დაიქირა ანდრიუშა, ხოლო მარტო ბეილისი ხომ ვერ მოახდენდა მკვლელობას მაგრამ მისი ამხანაგები ვერ აღმოაჩინეს. მერმე ვისი ბრალია ეს? ისევ ებრაელთა, რომელთაც არ სურთ სიმართლის გამოაშკარავება და ყველაფრის მიჩქმალვას ახერხებენ. ბეილისის მეგობრებმა მკვლელობის ადგილი დაფარეს, ბინა შეღებეს და შემდეგ გადასწვეს კიდევაც.

სამი გამოჩენილი მეცნიერი: კოსოროტოვი, ტუფანოვი და გენსენებული ობოლენსკი ერთი და იმავე დასკვნამდე მივიდნენ. სიკორსკი, ავადმყოფი მოვიდა აქ, რომ თავისი ახრი ეთქვა. დამცველების ექსპერტები მიდგომით სჯიდნენ, განსაკუთრებით ლეიბ-დოსტაქარი პილოვი, რომელიც ორდენებით დატვირთული მოვიდა, როდესაც სხვები უბრალოდ ჩაცმულნი მოვიდნენ, თუმცა მათში ტაინი სოციალიზმიც ერიენენ.

(თავმჯდომარე: ეს საქმეს არ შეეხება). პავლოვის ექსპერტიზა მეცნიერული არ იყო. კრიტიკა იყო ყველაფრისა და სხვა არაფერი. ეს კადიანის ჩვენებიდან ამოაშკარავდა. პავლოვის გარდა ყველანი მოწმობენ იუშჩინსკის ტანჯვას, და აღელვებული ბრალმდებელი ხატავს იუშჩინსკის ტანჯვას, წვალების სურათს. „ვინ არის ბეილისი“? კითხულობს ბრალმდებელი. ოჯახის კაცი, მორწმუნე თახთახის მცხობელი, მორწმუნე მოხუცის მუნე ზაიცევის მშველელი. მაგრამ სარწმუნოება სრულებითაც არ შეუშლიდა ხელს ბავშვი მოეკლა, რადგან მწვალებელი ბეილისი ფიქრობდა, სამღვთო საქმეს ჩავდივარო. მართლა ხმარობენ თუ არა ებრაელები სისხლს, ეს საკითხი აღელვებს ევროპას და რუსეთს და გამორკვეულია. ებრაელები არ ეხმარებიან მთავრობას, დამნაშავის აღმოჩენაში. ჭკონიათ, თუ ერთი ებრაელი გამტყუვნდა, ყველანი დაისჯებიან. არ არის მართალი. ებრაელ ერს არავინ ასაჭართლებს. ებრაელების სარწმუნოება ჩვენი სარწმუნოებაც არის რამდენადმე. მაგრამ ერთი და იგივე მაგალითები მსხვერპლის დაჩხვლეტა პასექის წინ ყველაფერი იმ ადგილებში ხდება, სადაც ებრაელები ცხოვრობენ... ბრალმდებელი დიდხანს შეჩერდება ნეოფიტის წიგნსა და არქიმანდრიტის ამვროსის ჩვენებაზე. ურიებმა არც იციან სექტის არსებობა, რომელიც ქრისტიანის სისხლს ხმარობსო და მოჰყავს მაგალითები და მათ შორის სარატოვის საქმესაც ასახელებს. თქვენ, ბატონებმა, თქვენი სინდისით უნდა გადასწყვიტოთ სიმართლე. ორი წლის წინად იუშჩინსკის სახელი არავინ იცოდა. დღეიდან მისი საფლავი გადაიქცევა იმ ადგილად, სადაც რუსეთის ყველა კუთხიდან მოვა ხალხი ნეშტის თაყვანისაცემლად. თუ თქვენ, ნაფიცნო მსაჯულნო, გააძტყუვნებთ ბეილისს, რუსეთის ხალხი სრულებით არ დაასვენის, რომ მთელი ებრაელობაა დამნაშავე, არამედ ერთი ფანატიკი ებრაელი. ბრალმდებელმა სიტყვა დაასრულა.

11 საათზე ზამისლოვსკი იწყებს ლაპარაკს, რომელიც მოჰყვება მკვლელობის ამბავს. კრასოვსკიმ და მიჩჩუკმა სიყალბე ჩაიდინეს. კრასოვსკის ორპიროლა აშკარაა. კრასოვსკიმ აჩვენა ბატონებმა; გამოძიება ყველა გზით ვეწარმოე. შედეგი კი მარტო ერთი იყო: ქრისტიანებს ატუალებდნენ და უძართლოდ აწიოკებდნენ. მერმე სცენაზე გამოვიდნენ აგენტები „კიევსკაია მისლის“ რედაქციიდან—ბრაზული და ამხანაგები. ზამისლოვსკი მოიხსენიებს მარგოლინის და ბრაზულის ხარკოვში ყოფნას და ჩებერიაკისადმი ფულის შეძლევის აძბავს.

ყველა ვერსიების უსაფუძვლობის შემდეგ ჩებერიაკის ვერსია მაინც არსებობს და სწორედ აქეთკენ არის მიმართული მთელი ლონისძიება იმათი, ვისაც ებრაელების ამ საქმეში მართლება სურთ. ჩებერიაკის ვერსია დიაკონოვის ქალის ჩვენებაზეა დამყარებული, მაგრამ რომ კარგად გაარჩოთ ეს ჩვენება, აშკარა გახდება, რომ ბოწმე კრასოვსკის დარიგებულია, ძველ კითხვებზე მოწმე თამამად ძალეოდა პასუხს, ხოლო ახალ კითხვების დროს აიბნა, რადგან დამრიგებელი გვერდით აღარა ჰყავდა. გამომძიებელთან ნაჩვენები სასამართლოს ჩვენებას ეწინააღმდეგება. ამოღაქარგის გამო გამოირკვა, რომ ეს რაღაც გაუგებრობაა. თითქოს ჩებერიაკის ბინაზე 12 მარტს ღამეს დიდი არეულობა ყოფილიყვეს, სრული სიცრუეა. შემდეგ ზამისლოვსკი თითოეულად გაარჩევს მკვლელობის ყველა ვერსიებს, შეეხება ბოწმეების: მალიცკაიას, მახალინის, კარაევის, შვაჩკოს და ვიშნევსკის ჩვენებას და არტკცებს, რომ მათ ყალბი ჩვენებით ჩებერიაკი კატორღაში სურდათ გაეგზავნათო. ბრაზული იმასაც ამბობდა, რომ ყველაფერი ამ საქმეს დაახარჯა, დაგირავა, მაგრამ თან საგარეოდ დაბანდებოდა. ჩებერიაკის მხრით მკვლელობა—ლოგიკურად სისულელეა, რა მიზანი უნდა ჰქონოდა ასეთს მკვლელობას? შეუძლებელია ქურდებს მოეკლათ და იმავე ღამის ნაქურდალით მოსკოვს გამგზავრებულიყვნენ ისე, რომ მხვერპლი არ დაესაფლავებინათ. მაშ, ეს ვერსიაც სრული სიცრუეა. ყველა ფაქტებს—ზაიცევის ქარხნისკენ მივყევართ. ბავშვი 12 მარტს კიდევაც უნახავთ იმ ადგილას, სადაც ბეილისი სცხოვრობდა. ბავშვებმა იცოდნენ ყველაფერი. მაგრამ არ ამბობდნენ. ჩებერიაკი რომ ბავშვებს აჩუმებდა, რათა არაფერი ეთქვათ, ეს ადვილი გასაგებია, რადგან ჩებერიაკს ეშინოდა ებრაელებისა. ბეილისის წერილი, კაზჩენკოს რომ გადასცა ბრალდებულმა, ბეილისს ძლიერ ამტყუნებსო. ფაიველშნეერსონი რა მოხელეა, ან რას აკეთებდა ქარხანაში თქვენ ვერ გაიგებთ. ყველას რამე საქმე ჰქონდა, მაგრამ შნეერსონის საქმისა ვერა გავიგეთ რა. რაღა 12 მარტს დაიკარგა ქარხნიდან შნეერსონი, კითხულობს ზამისლოვსკი. კიდევ მეორე ჯურის უცნაურობა. ბავშვის მოკვლის წინად ქარხანაში მივიდა ორი რაბინი და ბეილისთან სცხოვრობდა. ქარხანაში, სჩანს, მარტო აგურებს არ აკეთებდნენ, აქ სამლოცველო იყო, სადაც ფარულად იკრიბებოდნენ ებრაელები. ქარხანაში მოჰკლეს იუშჩინსკი. 12 მარტს იქ დიდი მუშაობა არ ყოფილა და მკვლელობას ეს ხელს ვერ შეუშლიდა. ობოლენსკის, კოსოროტოვის და ტუფანოვის გამოკვლევით დამტკიცდა, რომ ბავშვი სისხლისგან დასცალეს და დაჩხვლიტეს. დოსტაქარს გვამისა არაფერი გაეგება, რადგან ეს მათი საქმე არ არის. ზამისლოვსკის აზრით ნაჩხვლეტის რიცხვი 13: მართლმორწმუნე ებრაელი უკანასკნელ წამს წამოიძახებს: „ეგზოდ“, რაც 13 ნიშნავს. პელოვი ამბობს: მკვლელები უთავბოლოდ აძლევდნენ ჭრილობას მსხვერპლსო. კოსოროტოვმა ყურადღება დასკვნა მოგვცა, ხანდა ხანობით ერის ჭრილობებიო. აშკარაა, როცა სისხლის დაცლა უნდოდათ, ზედი-ზედ ჭრილობის მიცემა არ იყო საჭიროო. ჩვენთვის საინტერესო ის კი არ არის, თუ მეცნიერს როგორ ესმის ტექსტი, არამედ როგორ გაიგებს მას ფანატიკოსი. ფანატიკოსს სულ სხვანაირად ესმის სამღვთო წერილის ადგილი, ვიდრე მეცნიერს, იქნება ფანატიკოსის განმარტება არ შეეფერებოდეს სინამდვილეს, მაგრამ საქმისათვის ეს უმნიშვნელოა. რაღა ებრაელებს ბრალდება ეგეთი მკვლელობა ყოველთვის და ყოველ დროს. ეკლესიამ ბევრი წმინდანი იცის, ებრაელებმა რომ აწვალეს. სარატოვის საქმემ დაადასტურა ებრაელების მიერ ქრისტიანის სისხლის ხმარება. იუშჩინსკის მკვლელობა ზაიცევის ქარხანაში მოხდა ბეილისის მონაწილეობით. რიტუალურ მკვლელობას აღიარებენ. მართლმადიდებელი და კათოლიკეთა ეკლესია, სასამართლო, სახელმწიფოები და თვით ებრაელები. ალექსანდრა იუშჩინსკისა, რომელიც ძლიერ ავად არის და ალბად მოკლე ხანში ჩააბარებს სულს უფალს, გთხოვთ, თქვენ, ნაფიცნო მსაჯულნო, ებრაელების შიშით ნუ დაფარავთ სიმართლეს და ქრისტიანული სინდისით დასდეთ სამართლიანი მსჯავრი. ამას მოელის თქვენგან აგრეთვე მთელი რუსეთი.

საღამოს სხდომაზედ შმაკოვი ლაპარაკობს. მარტოდ მარტომ, საპყარმა, საშინელის ბრძოლით და გამოუთქმელ სულის-კვეთებაში მიიღო ანდრიუშამ მოწამობრივი სიკვდილი. დასტოვა თავისი სულ-დაცემული და შეურაცხყოფილი დედა. ეს საქმე არაჩვეულებრივია იმითიც, რომ და მცველების შესანიშნავი ძალებია აქ თავმოყრილი და აღურაცხველი საშუალებანი, რომლითაც დამცველები განაგებენ. რუსეთის მართლმსაჯულების ღირსების დასაცავად სასამართლოს თავმჯდომარემ საშუალება მისცა ესარგებლად ამ ძალებითა და საშუალებებით ფართო სამზღვრებში. რამდენიმე საათის განმავლობაში მააზე ხოტბას ასხავდა ებრაელობას, მსოფლიო ებრაელების პრესსა მას აქებს. ჟენშარიტების საბელით მეცა გთხოვთ ცოტაოდენს ყურადღებას მაზედ, რაც თქვენთან წარმოსადგენი მაქვს. მე მინდა 1911 წლის 16 მარტზედ ცოტა შეეჩერდე. ამ დღეებში შეშინებული დედამამა ანდრიუშასი „კიევის მისლის“ რედაქციაში მივიდნენ. აქ შეხვდა მათ ებრაელი ბორშჩევსკი და მაშინვე განიზრახა, თვით ეს მშობლები ციხეში ჩაესხა, ხოლო გამოძიება ყალბ გზაზედ დაეყენებინა. მშობელი დადა 4 დღის შემდეგ დაატუსაღეს, ხოლო ბეილისი კი—4 თვისა. როდესაც 6 თვის ორსული დედა სთხოვდა თავისი მოწამებრივ წამებული შვილის ნეშთისთვის უკანასკნელი ცრემლი დაეფრქვია, ნება არ დართეს. მაძებარი პოლიცია არაფრის წინ არა დგებოდა: როცა მარია და პავლე პეშკებმა განაცხადეს, რომ შგბათს ანდრიუშა სლობოდკაში ვნახეთო, მაძიებელი აგენტები ემუქრებოდნენ და ძალას ატანდნენ ყალბი ცნობები მიეცათ. (. . . .) შემდეგ შმაკოვი უჩვენებს, რა ცილის წამება მიაყენეს ვერა ჩებერიაკს. თუმცა მე იმისი დამცველი არა ვარო, ამბობს ამისთანავე შმაკოვი. ჩებერიაკის დანაშაულობის ლეგენდა ლოთი დედაკაცის მოგონილია. რუსს არ შეუძლიან ამისთანა დანაშაულობის ჩადენა: იმას შეუძლიან მოჰკლას ადამიანი, დასჭრის, მაგრამ 47 ჭრილობის კი არ მიაყენებს. დამნაშავის საამზედ ეხლა ბეილისია, რომელსაც ბრალად ედება საზარელი მხეცობის ჩადენა. და აი მთელი ქვეყნის ებრაელობა სარგებლობს იმ საშუალებებით, რაც უფრო მძლავრად ამარცხებს ბეტერს—ბეკდვითი სიტყვით. ამავე იარაღით შეიძლება იმათთან ბრძოლა, მაგრამ დიდი გამბედაობა უნდა, რომ ებრაელების წინააღმდეგ გამოვიდეს კაცი. რიტუალურ მკვლელობებში იმათ უკვე შეიმუშავეს საკირო ზომები, რომლებსაც ხმარობენ ყოველთვის. და დიდი გამჭრიახობა უნდა, რომ აქ ადვილად აღმოაჩინოს კაცმა სიმართლე. განა რა უნდოდა ბეილისს მკვლელობის შემდეგ? ის, რომ რაც შეიძლება შორს წაეღო მოკლულის გვამი, გადაეტანა ის დნეპრის გაღმა სლობოდკაში. ორდინსკის ნათქვამი შეუწყნარებელია, წარმოუდგენელია, ვითომ სლობოდკელ მკვლელებს ავადმყოფის სახით ჩაეღოთ გვამი ეტლში და ისე წაეღოთ; განა მათ დნეპრში ვერ ჩაგდეს, ან სლობოდკაში ადგილი ვერ იპოვეს, რომ იქ დაეფარათ მოკლული?!. შმაკოვი არჩევს მოწმეებს და ამბობს, რომ ისინი განიყოფიან სამ წყებად—დაშინებულნი, მოყიდულნი და შეცდომაში შეყვანილნი. შმაკოვი აუცილებლად სთვლის, რომ ზაიცევის ადგილი—ხასსიდიზმის ბუდეა, სამუშაოდ იქ რუსებსა ხმარობენ, ებრაელები კი განაგებენ. შემდეგ შმაკოვი ჩ მოსთვლის, რომ ამ და ამ მოწმეს მხოლოდ ფულები ალაპარაკებსო. ეს ცხადია, რამდენი იყო, არ ვიცით, მაგრამ ძალიან ბლომად კი უნდა დახარჯულიყვნენო. შემდეგ არჩევს სიკორსკის დასკვნას, რომ მკვლელობა რელიგიური მიზნით მოხდა, და ამბობს, რომ იმისი დასკვნა ერთად-ერთია. სხვას რომ ეთქვა, არ დავუჯერებდი, მაგრამ სიკორსკის კი უსათუოდ, რადგანაც იმის საბუთი არა აქვს ტყუილი სთქვას. მოჰყავს ყველა ის საბუთები, რაც სიკორსკიმ წამოაყენა. სიტყვა დილამდის შესწყდა.

რედაქტორი Ა. ᲭᲣᲛᲑᲐᲫᲔ.
გამომცემელი Ა. ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲞᲔᲠᲛᲘᲜᲘ

ᲡᲞᲔᲠᲛᲘᲜ-ᲞᲔᲚᲘ ერთად ერთი ნამდვილი სპერმინი, ყოველ-მხრივ ნაკადია და მიღწეული ბრწყინვალე შედეგების წყალობით, მოწონებულია მთელი ქვეყნიერობის სახელგანთქმულ მეცნიერების მიერ და მითი წამლობას ურჩევენ ნევრასტენიისა, სქესობრივი უძლურებისა, დაჩანაკებისა, საერთო სისუსტისა, ისტერიისა, ნევრალგიისა, სისხლ-ნაკლებობისა, ქლექისა, ათაშანგისა, ვერცხლის წყლით წამლობის შედეგებისა, გულის ავადმყოფობისა (სიმსუქნე, გულის ფრიალი, სკლეროზი, გულის ჩქროლა, გულის ცემა და მიკორდიტი), არტერიო სკლეროზისა, ლოთობისა, ხერხემლის ძვლის გახმობისა, დამბლობისა, დიდ-ლობისა და სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ. ყურადღება უნდა მიაქციოთ სათაურს:

ᲡᲞᲔᲠᲛᲘᲜ-ᲞᲔᲚᲘᲐ,

და მოერიდეთ უფასო ყვავრის მიბაძვას, ეგრედ-წოდებულს სათესლე ძარღვების წვენს, რომელნიც **ᲡᲞᲔᲠᲛᲘᲜ-ᲞᲔᲚᲘᲡᲗᲐᲜ** არ შეადგენლობით და არც მოგვდგენით არავითარი საერთო არა აქვთ და ხშირად ჯანმრთელობისათვის საშიშ ნივთიერებას შეიცავენ. **ᲡᲞᲔᲠᲛᲘᲜ ᲞᲔᲚᲘᲐ** ყველგან იშოვება.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲞᲔᲚᲘ და **ᲕᲘᲚᲔᲑᲘ**, ს.-პეტერბურგი.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.
Метцль. 111309. 1443

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ!

ᲛᲔᲘᲛᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ
ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲥᲐᲠᲘᲡᲐ.
ᲓᲘᲚᲘᲗ:
„606“ ᲓᲐ „914“
11—12 Ს. ᲨᲔᲛᲨᲮᲐᲪᲣᲜᲔᲑᲐ
ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲣᲠᲐᲓ.
Ბ. Ა. ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲐᲜᲘ: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
Ბ. Გ. ᲐᲠᲒᲐᲡᲐᲠᲓᲐ: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
Კ. Შ. ᲩᲘᲭᲝᲕᲐᲜᲘ: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲐᲫᲔ: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
Ნ. ᲢᲐ. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
Შ. Გ. ᲐᲕᲔᲪᲘᲐᲜᲪᲘ: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., სამ. და ქირურგ.
Ა. Შ. ᲙᲐᲠᲐᲑᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **Მ. Გ. ᲢᲔᲠ-ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘᲡᲐ** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
Კ. Დ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲗᲘ:
Შ. Გ. ᲐᲕᲔᲪᲘᲐᲜᲪᲘ: 6—7 საათ.
რიგვა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1001 ექიმი **Ბ. Ა. ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲐᲜᲘ.**

ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲘᲡ ᲭᲣᲩᲐᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲘᲜᲐᲓ „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ

შენობა ახლად შეკეთებულია და განათებულია ელექტრონით. ავეჯეულია სულ ახალია ნომრები ღირს: 50 კ—დან 1 მანეთამდე.
ᲗᲕᲘᲣᲠᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲚᲐᲕᲐᲗᲘ. 1552

Ა. ᲙᲘᲕᲘᲢ. აცხადებს **ᲡᲘᲜᲬᲘᲤᲘᲡ ᲛᲝᲐᲮᲓᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲬᲘᲤᲐᲚᲘ ᲚᲘᲜᲘ,** 1 ხარისხის ვოლნოპრედელიანიუზრის გამოცდისთვის და საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისთვის შეთხზების მიხედვით **ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲣᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.** ნახვა შეიძლება: ყოველ 12—1 საათამდე და ხალამოობით 5—6 საათამდე. ელიზავეტინსკაია ქუჩა, სახ. № 142 (პიროგოვის ქუჩის კუთხე). 1540

ᲣᲤᲐᲡᲝ ᲡᲐᲥᲫᲘᲡᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ
ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ.

ᲣᲑᲜᲔᲑᲘ
1—2 **Გ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲚᲘᲜᲘ** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **Შ. Ა. ᲨᲐᲕᲒᲘᲠᲓᲘᲐᲜᲘ** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ᲢᲐ. Შ. ᲗᲐᲗᲘᲝᲡᲘᲐᲜᲘ** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **Ა. Ლ. ᲙᲘᲚᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27)
8—9 **ᲔᲚ. Ა. ᲨᲔᲚᲔᲩ-ᲨᲐᲰᲜᲐᲖᲐᲠᲝᲕᲘ** (გუნიბის ქ., № 23.
10, 11—12 **Ი. Გ. ᲢᲔᲠ-ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲡᲝᲕᲘ** (მიხეილის ქ., № 169, ტ.ლ. № 935).

Ქ. Ш. Ш.-Ქ. ᲒᲐᲛᲐᲕᲠ. ᲡᲐᲖ. ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ: ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ, ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝ ᲛᲐᲮᲐᲚᲔᲑᲘ:

ᲒᲘᲒᲔᲒᲘᲫᲔ Ი. ᲘᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ	35 კ.	— ქართ. კათოლ. ყველა ასპარეზზე	25 „
ᲥᲣᲗᲐᲗᲘᲜᲐ. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ნარკვევი	1—50 „	— ქართული სტამბა	10 „
ᲗᲘᲜᲘᲫᲔ Თ. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ქართ. ჟურნ.-გაზეთებისა	15 „	— საქართველოს ცხოვრება	1 მ.—
— კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში	50 „	— მუსულმანი ქართველობა და მათი ლოდენები საქართველოში	60 „
— „ „ ბათომში	10 „	— ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი	50 „
— კათოლიკეთა episkoپობის მობრძანება საქართველოში	10 „	**ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ:** ერის სულის მეფე, ლეგენდა, რუხაძე	5 „
— მესხეთ-ჯავახეთის გათათრება	10 „	ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება	25 „
— სოლომონ ლეონიძე	10 „	ყოველის მხრიდან, ლომაურისა	10 „
— ქართ. კათოლიკეთა სასულ. მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცხობა	25 „	გენეალოგია დიდი ალექსანდრე მეფისა	30 „
— ქართ. კათოლიკეთა ვაკრობა.	30 „	ხალართველოს გმირი გიორგი საააკაძე	80 „
		Списокъ пьесъ на груз. языкѣ разрѣшенныхъ къ представленію	40 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘ

ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲠᲘ—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ეზოდან.
ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡᲐ—კახეთის ქ. № 15.
ᲮᲐᲠᲤᲣᲮᲘᲡᲐ—ვორონცოვის ქ. 55.
ᲙᲣᲙᲘᲡᲘᲡᲐ—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
ᲓᲘᲓᲣᲑᲘᲡᲐ—საგურამოს ქ. 5.
ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, ეგრეთ-ეგრეთ შემთხვევებისა, როცა დიდი ბრძოლა დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ᲛᲝᲗᲔᲚᲡ ᲓᲔᲓᲐ-ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ
ᲒᲠᲐᲛᲝ-ᲤᲝᲜᲔᲑᲡ
„ᲘᲐᲙᲝᲠ“-Ს
ᲰᲔᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲑᲠᲘᲙᲝ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ
ᲒᲠᲐᲛᲝᲤᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐ
Გ. Ს.
ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘᲡᲐ.
ᲤᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ-ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ.
ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥ., № 6, ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲥᲕᲔᲨ.
1531

ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ ᲪᲘᲕᲐᲓᲘ-ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲗ
ᲙᲔᲡᲢᲔᲠᲒᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ
ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲜᲘ
ᲫᲛ.
ᲙᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ.
ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲯᲣᲗ. ᲡᲐᲮ. № 9.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 712.

ᲐᲛᲣᲠᲘᲡ **ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ** |ᲙᲔᲢᲝᲕᲘ|
ᲡᲘᲒᲘ, ᲓᲕᲘᲜᲘᲡ **ᲝᲠᲐᲒᲣᲚᲘ, ᲒᲠᲣᲖᲓᲘ, ᲑᲠᲣᲡᲜᲘᲙᲐ** ᲓᲐ ᲡᲮᲕ
ᲐᲖᲠᲔᲓᲕᲔ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ
ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ
ᲙᲝᲚᲝᲤᲘᲗ Მ ᲮᲛᲔᲚᲘ ᲡᲝᲙ